# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი-ოთხშაბათი, 10-11 ნოემბერი. 2020 წ. №154-155 (9080-9081) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# მართლაც საოცარი ცინიზმია, როდესაც მრავალი სიმხეცის ჩადენით გადაგვარებული, მაგრამ იმავდროულად, საკმაოდ ცბიერი პოლიტიკური გუნდი, აბსოლუტურად უცვლელი შემადგენლობით, მოურიდებლად ცდილობს, კვლავაც მოატყუოს ხალხი და დაიბრუნოს შეუზღუდავი ძალაუფლება!..





## აუცილებლად წააკითხეთ ბიძინა ივანიშვილს!!!

3

# გათავხედებული ოპოზიცია

## ადამიანი იმდენად საშინელი შეთქმულების პირისპირ დგას, რომ უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა



### 1. შესავალი

**„ყველა დროში, მით უფრო ახლა, ვიდრე ოდესმე, მსოფლიოს მართავენ, პირველ რიგში, საიდუმლო ორგანიზაციები“!**

**პრეზიდენტი რუზველტი, 80 წლის წინათ ნათქვამი**

**ძალიან საინტერესო დროში ვცხოვრობთ. ალბათ, იგივეს ამბობდნენ ჩვენი წინაპრებიც თავიანთ დროზე, განსაკუთრებით კი, — მეოცე საუკუნის რევოლუცია-მსოფლიო ომების და ტექნიკური პროგრესის მომსწრენი. მით უმეტეს, ეს ითქმის XXI საუკუნეზე, როდესაც მართლაც სინამდვილედ იქცა ზღაპრებში წაკითხული ამბები. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ თითოეულ ჩვენგანს საკუთრებაში გვექნებოდა მობილურად წოდებული „ჯადოსნური სარკე“ — ერთი პატარა და თხელი კოლოფი, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში არათუ გავესაუბრებოდით სახლში, ქუჩაში თუ ცაში (თვითმფრინავში) მყოფ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს, თანაც, ერთდროულად(!) რამდენიმეს, არამედ მათ დავინახავდით კიდეც ცოცხლად და, ერთმანეთისთვის წერილების, საბუთების თუ სხვა მსგავსი შეტყობინების გადაგზავნასაც ერთ წამში (!) მოვახერხებდით!**

სამწუხაროდ, როგორც ყველაფერს ბუნებაში, ამ მიღწევებსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარე, თანაც, ზუსტად პირდაპირპროპორციული! რაც უფრო დიდია ტექნიკური პროგრესი, მით უფრო მეტი საშიშროება ექმნება ადამის მოდგმას, მის როგორც ფიზიკურ, ისე — სულიერ არსებობას, მის თავისუფლებას. კაცობრიობის ისტორია, ფაქტობრივად, ომების ისტორიაა, მაგრამ, აბა ვინ იფიქრებდა ერთი საუკუნის წინათ, რომ პაწაწინა ატომის ენერგიით, მხოლოდ ერთი (!) ბომბით მილიონიანი ქალაქის სრული განადგურება და ამოწყვეტა იქნებოდა შესაძლებელი. დღეს კი, ამ მიმართულებით ისეთი ტექნიკური „წინსვლა“ გვაქვს, რომ უკვე მთელი პლანეტის(!) მოსახლეობის დასამარებაა ერთ დღეში შესაძლებელი — ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღით და, აგრეთვე, განსაზღვრული სიხშირის და სიმძლავრის რადიოელექტრონული ტალღების მეშვეობით!

ეს, რაც შეეხება ფიზიკურ განადგურებას. ახლა ვნახოთ დღევანდელი ჩვენი სულიერი მდგომარეობა, რასაც ფართო გაგებით ადამიანის უფლებები, თავისუფლება ეწოდება.

იხ. 6-7 გვ.

## ახალი ვაქცინა ადამიანებს კორონავირუსისგან 90 პროცენტით იცავს

წინასწარი ანალიზები აჩვენებს, რომ კორონავირუსის პირველ ვაქცინას ადამიანების 90%-ით დაცვა შეუძლია. ამის შესახებ **BBC** იტყობინება. ბრიტანული მედია მონაცემს ეყრდნობა, რომლის თანახმად ვაქცინა 6 ქვეყანაში, 43 500 ადამიანზე უკვე გამოსცადეს.

საუბარია გერმანული მწარმოებლის **BioNTech**-ისა და ამერიკული **Pfizer**-ის მიერ შექმნილ ვაქცინაზე. **BioNTech**-ისა და **Pfizer**-ის განცხადებით, 9 ნოემბერი მეცნიერებისა და კაცობრიობისათვის უდიდესი დღეა. კომპანიები გეგმავენ, რომ თვის ბოლოსთვის გააკეთონ განაცხადი ვაქცინის დაუყოვნებლივ დასამტკიცებლად.



## გიორგი გახარია:
# ჩვენ ვხედავთ ყველანაირი პასუხისმგებლობისგან დაცლილი ოპოზიციის რადიკალურ მოწოდებას დაუმორჩილებლობისკენ

მთავრობის მეთაური ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან კვირას განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ იყო სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევის პირდაპირი მოწოდება, რაზეც სახელმწიფოს რეაქცია უნდა იყოს ლეგიტიმური და უმკაცრესი.

**„ბოლო თვეების განმავლობაში, ყველა, ვინც აქ ვართ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად ვებრძვით ერთდროულად პანდემიას, ეკონომიკურ კრიზისს, რეგიონში ომს და ვცდილობთ, პროცესის შემდგომი დემოკრატიზაციის ხარისხი გავზარდოთ. ეს არ არის მაღალფარდოვანი სიტყვები. 31 ოქტომბერს, პანდემიის პირობებში, როდესაც რეალური რისკი არსებობდა, საქართველოს მოქალაქე ადგა, მივიდა არჩევნებზე და მისცა ხმა. თან მივიდა ისე, რომ ეს იყო გლობალური პანდემიის პირობებში მსოფლიოში ჩატარებული არჩევნების დროს აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და 2016 წლის არჩევნების აქტივობაზე მაღალი მაჩვენებელი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ რაოდენობის მოქალაქე მივიდა, ხმა მისცა და თქვა, რომ 9 პარტიას ვაძლევ მანდატს იმისთვის, რომ ეს ხალხი პარლამენტში შევიდეს. ჩვენ გონიერი ხალხი ვართ და ყველას კარგად გვესმის, რომ ფაქტობრივად, საქართველოს მოქალაქემ ჩვენ ყველას, იმ 9 პარტიასაც, დაგვავალა, ქვეყანას მიხედეთ, ქვეყანას მოუარეთ და ეს რომ დაგვავალა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იგულისხმა, მოუარეთ პანდემიას, ეკონომიკურ კრიზისს და ეს ყველაფერი ისე გააკეთეთ, რომ ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესი არ გააჩეროთ. ეს იყო დავალება. რა დავინახეთ ჩვენ? ჩვენ გუშინ ვნახეთ ყველანაირი პასუხისმგებლობისგან დაცლილი ოპოზიციის რადიკალური ნაწილის ჩვეულებრივი მოწოდება დაუმორჩილებლობისკენ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შტურმის მცდელობა და რაც მთავარია, პოლიციელების და ექიმების შეურაცხყოფა — ხალხის, რომელზეც დღეს ფაქტობრივად დგას ეს ქვეყანა და სხვადასხვა მიმართულებით ხდება კრიზისებთან ბრძოლა. ფაქტობრივად, სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევის პირდაპირი მოწოდება იყო, ერთმნიშვნელოვნად ყველას უნდა გვესმოდეს და ეს არ არის მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის ამოცანა - სახელმწიფოს რეაქცია უნდა იყოს ლეგიტიმური და უმკაცრესი“...**

გიორგი გახარიას შეფასებით, ნებისმიერ კანონდარღვევას, ძალადობას და ძალადობისკენ მოწოდებას, ყველაფერს, რაც გუშინწინ მოხდა, სჭირდება სამართლებრივი ანალიზი და არანაირი კომპრომისი არ უნდა მოხდეს იმასთან დაკავშირებით, რომ სადაც არის გადაცდომები, ყველაფერზე უნდა მოხდეს დროული, ეფექტური რეაგირება.

# ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს!

**გთხოვთ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ვიმოქმედოთ მაქსიმალური პასუხისმგებლობით ქვეყნისა და კანონის წინაშე. აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო სამართალდამცველებს, რომ იმოქმედეს მაქსიმალური სიფრთხილით და კონსტიტუციურ ინსტიტუტზე თავდასხმის მოგერიება შეძლეს მაქსიმალურად რბილი ძალის გამოყენებით, —** ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



**...ქართველმა ხალხმა, 31 ოქტომბერს გამოხატა საკუთარი პოლიტიკური არჩევანი, მილიონამდე ადამიანმა „ქართულ ოცნებას“ გამოუცხადა ნდობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველი ხალხის გადაწყვეტილებით მთავრობას „ქართული ოცნება“ დააკომპლექტებს.**

**ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ თითოეულ მოქალაქეს, პოლიტიკურ პარტიებს, ნუ აყვებიან ოპოზიციის დესტრუქციულ ნაწილს, რომლის მიზანიც სახელმწიფო ინსტიტუტებზე თავდასხმა და არეულობის ინსპირაციაა.**

**თუ ვინმეს მიაჩნია, რომ კონკრეტული საარჩევნო უბნების მონაცემებთან მიმართებით ლეგიტიმური პრეტენზია აქვს, მოვუწოდებთ ყველას, დესტრუქციული ქმედებებით ნუ შეაფერხებენ მათივე საჩივრების საფუძველზე მიმდინარე ხმების გადათვლის პროცესს, არამედ მიყვნენ სამართლებრივ პროცედურებს, ამ გზით შეეცადონ საკუთარი პოზიციის დაცვას და მოემზადონ არჩევნების მეორე ტურისთვის. ამავეს მოუწოდებენ ოპოზიციურ პარტიებს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებიც.**

**ყველა უნდა მივეჩვიოთ, რომ ქართველი ხალხის ნება არის უზენაესი და რომ მილიონამდე ადამიანის არჩევანს ვერავინ შეცვლის საპროტესტო აქციებით; ჩვენ უნდა მივეჩვიოთ, საკუთარი მიზნების სამართლებრივი გზებით მიღწევას, სხვაგვარად დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ შევქმნით, სხვაგვარად თანამედროვე საზოგადოებად ვერ შევდგებით!**

**ნიშანდობლივია, რომ გუშინ მომხდარ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებში მონაწილეობდნენ ოპოზიციის მხოლოდ რადიკალური ფრთის წარმომადგენლები, რომელთაც ქვეყანაში სიტუაციის ესკალაცია სურთ.**

**დასაფასებელია იმ პარტიების პოზიცია, რომლებმაც გაითვალისწინეს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მოწოდება, ბოლომდე შეინარჩუნეს პროტესტის გამოხატვის მშვიდობიანი ფორმა და არ მიიღეს მონაწილეობა ცესკოზე მიტანილ ძალადობრივ შტურმში.**

**კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს, ნუ აყვებიან რადიკალურ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, დაუბრუნდნენ კონსტრუქციულ რეჟიმს და მოემზადონ მეორე ტურისთვის. დესტრუქციით და სიტუაციის ესკალაციის მცდელობით ვერავინ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევს“...**

# 8 ნოემბრის აქციაზე 19 პირი და „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დააკავეს

**პოლიციამ 8 ნოემბერს, საპროტესტო აქციაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე, ადმინისტრაციული წესით, ჯამში 19 პირი დააკავა, —** ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა საბანაძემ განაცხადა.

**„შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მომხდარ ფაქტებზე სამართლებრივ რეაგირებას. სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ცესკოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და მასში მონაწილეობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1 და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს“ —** განაცხადა კახა საბანაძემ.

* * *

**საპროტესტო აქციის დარბევის დროს „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი კოკა თოფურია დააკავეს. ინფორმაციას „მთავარი არხი“ ავრცელებს. მათივე ცნობით, თოფურიას ოჯახის წევრებისთვის უცნობია, რა გახდა დაკავების მიზეზი. ამასთან, მათ არ იციან, როდის ჩაინიშნება სასამართლო პროცესი.**



თოფურიას ახლობლების თქმით, პოლიციელებმა მისი დაკავების შესახებ ოჯახს არ აცნობეს. **ცნობისთვის, შსს-ს ინფორმაციით, აქციის დროს ჯამში 19 ადამიანი დააკავეს.**

## თენგიზ ცერცვაძე:
# კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გარეშე არავინ დარჩება!



**ერთმნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად კორონავირუსის შემთხვევების დრამატული ზრდისა, სამედიცინო პერსონალისა და მთელი ინფრასტრუქტურის გადატვირთვისა, საქართველო მაინც ახერხებს, 100 ათას მოსახლეზე გაანგარიშებით, უფრო მეტი ადამიანის ჰოსპიტალიზაცია მოახდინოს, ვიდრე ამას ევროპის წამყვანი ქვეყნები აკეთებენ, —** ამის შესახებ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა.

**„მართალია, მოსახლეობის მხრიდან არის საჩივრები, ხშირად სამართლიანი, ზოგჯერ გადაჭარბებული, რომ ისინი დიდხანს ელოდებიან ტესტის აღება, ტესტის პასუხს. იგვიანებს სასწრაფო, ჭირს დაკავშირება ოჯახის ექიმთან, როდესაც პაციენტის ჰოსპიტალიზაცია გადაწყდება, მყისიერად არ არის ადგილი, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არის, მაგრამ ეს გარდაუვალია იმ პირობებში, როდესაც ხდება შემთხვევების ძალიან დრამატული მატება.**

**ამ პანდემიას ვერ უმკლავდება ვერავინ, მთელ მსოფლიოში. გადახედეთ, რა ხდება ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. იქ ყველა ის სიძნელე, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, ეს სიძნელეები ყველა იმ წამყვან ქვეყანაში, დამერწმუნეთ, გაცილებით მეტი მასშტაბებით ხდება“, —** განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ. მისივე თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რათა მოსახლეობას ამ მხრივ პრობლემები ნაკლები ჰქონდეთ.

**„ბოლო კვირების განმავლობაში ამ მიზნით უამრავი რესურსი დაემატა როგორც სასწრაფო დახმარების, ასევე ოჯახის ექიმის სამსახურებს; ონლაინ კლინიკებს, დამატებითი სტაციონარული საწოლები გამოთავისუფლდა; მუდმივ რეჟიმში ტარდება სამედიცინო პერსონალის ტრენინგები. ყველაფერი ეს უზრუნველყოფს იმას, რომ გადაძაბვით, მაგრამ მაინც არავინ დარჩება კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გარეშე“, —** განაცხადა ცერცვაძემ.

## ამირან გამყრელიძე:
# ექიმებს თავი დაგვანებეთ, ნუ გვრთავთ პოლიტიკაში!

**ჩვენ, ექიმები აპოლიტიკური ადამიანები ვართ და ჩართულები ვართ წინა ხაზზე იმ უზარმაზარი გამოწვევის წინაშე, რომელიც საუკუნეში ერთხელ ხდება, —** ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ექიმები პოლიტკაში არ უნდა ჩავრთოთ, რადგან მათ თავიანთი საქმე აქვთ.



**„ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, ამიტომ პოლიტიკური პასაჟებით და ქვეტექსტებით დასმული კითხვები მიუღებელია. შეკრებები ცუდად მოქმედებს პანდემიაზე. პოლიტიკური პროცესი ხელს უშლის პანდემიასთან აქტიურ ბრძოლას, მაგრამ პოლიტიკურ პროცესს ვერავინ შეაჩერებს ქვეყანაში, რადგან საპარლამენტო არჩევნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ის განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის განვითარებას მომავალი 4-5 წლის განმავლობაში“...**

# გაუფრთხილდით ექიმების სიცოცხლეს!

**საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში, სამინისტროსთან შეთანხმებით, მის ოჯახზე (მემკვიდრე), ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, 10 000 ლარამდე დახმარება გაიცემა, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ცენტრის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში — 5 000 ლარის ოდენობით.**

შესაბამისი ცვლილება მინისტრის ბრძანებაში შევიდა.

**ბატონო ბიძინა, გიდასტურებთ თქვენდამი პატივისცემას პრინციპით — „მოყვარეს პირში უძრახე“ და გულისტკივილით, მოგმართავთ: რაც დღეს საქართველოში ხდება და რასაც ბედავს უზნეო და უტიფარი ოპოზიცია, თქვენი ბრალია. დღიდან თქვენი ხელისუფლებაში მოსვლისა, თვალებში შესციცინებთ ამერიკას და ევროპას, მათი კარნახით მართავთ ქვეყანას, განა ეს გამართლებულია?! ჯერ ერთი წლით გაუგრძელეთ პრეზიდენტობის ვადა ქართველთმოძულე შიზოფრენიკს, შემდეგ თითიდან გამოწოვილი კოჰაბიტაცია მოახვიეთ თავს თქვენი ხელისუფლებაში მოსვლით აღტაცებულ ხალხს. საზოგადოების ყველაზე უმნიშვნელოვანესი თხოვნა და მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენის თაობაზე 8 წლის განმავლობაში ყურად არ იღეთ. კრიმინალებს, რეციდივისტებს, ხაზინის ქურდებს, მწამებლებს, მკვლელებს, საქართველოს მიწა-წყლის გამყიდველებს, სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, ხალხის ქონების და საკუთრების წამგლეჯებს პასუხი არ მოსთხოვეთ და კანონის მთელი სიმკაცრით არ დასაჯეთ. პირიქით, კანონი, რომელიც დამნაშავის დასჯას სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის ვადების შეკრებითობის პრინციპით ითვალისწინებდა, გააუქმეთ.**



# გათავხედებული ოპოზიცია

სასათბურე პირობები შეუქმენით ქვეყნის დამაქცევარ არაადამიანებს. ისინი განცხრომით სხედან პარლამენტის სავარძლებში, ძალოვან და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. გლანძღავენ, გაგინებენ, ჭკუას გარიგებენ თქვენ და თქვენ გარემოცვას — მმართველ პარტიას. თქვენს ღვაწლს და ამაგს კი არ აფასებენ, პირიქით, მასხრად იგდებენ, ცინიკურად მოგიხსენიებენ, ცილს გწამებენ. თქვენ ამ შეურაცხყოფას და დამცირებას ოლიმპიური სიმშვიდით იღებთ. ეს განა მარტო თქვენი, ქვეყნის და საღად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების შეურაცხყოფა და დამცირებაა?! ნუთუ ამას თქვენ ვერ ხვდებით. ალბათ, არ გყავთ გონიერი, განათლებული, შორსმჭვრეტელი ანალიტიკოსი მრჩევლები, ან არ უსმენთ მათ (ეს უარესია). თქვენ მხოლოდ უცხოელი „მრჩევლების“ მითითებებს ასრულებთ, იმიტომ გვაქვს კარგად საქმე.

— ტელეარხები, ჟურნალისტები, არასამთავრობოები, ადამიანის ვითომ უფლებადამცველები და, სამწუხაროდ, ბევრი თქვენი მომხრე, მათ შორის დეპუტატებიც აგიმხედრდნენ და განგიდგნენ. ეს უკვე დამაფიქრებელი კი არა, კატასტროფაა.

— პირადად მე არაერთი საგაზეთო წერილი მომიწერია თქვენთვის, თუ რა აწუხებს ხალხს: პირველ რიგში, სამართლიანობის აღდგენა, რუსეთთან დიალოგი და კეთილმეზობლური ურთიერთობების დალაგება, ულტიმატუმების გარეშე, აფხაზებთან და ოსებთან კეთილგონივრული დიალოგი, სტრატეგიულ და უცხოელ პარტნიორებთან ღირსეული ურთიერთობა და არა მონური, ისეთი, როგორიც დაამკვიდრეთ უცხოელ დიპლომატებთან, განსაკუთრებით აშშ-ის ელჩებთან, კონგრესმენებთან, სენატორებთან, ევროპის სახალხო პარტიასთან და სხვა მრავალთან.

— ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე უამრავ კვალიფიციურ რჩევას გაძლევენ პროფესიონალი პუბლიცისტები, ქვეყნის და ხალხის უსაზღვრო სიყვარულით გაჟღენთილი წერილებით პრესაში რვა წლის განმავლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ არაფერს არ ითვალისწინებთ. საზოგადოებაში გამეფებულია აზრი, რომ თქვენ პრესას არ ეცნობით. გამომდინარე აქედან, ჩვენი სამშობლოს გადაუდებელი პრობლემების მოგვარებას აღსრულება არ უწერია. ამ პრობლემების ჩამონათვალი, რაც დრო გადის, კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება.

— სამართლიანობის აღდგენაზე მე გესაუბრეთ სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე, მაშინ, თქვენ, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ პრემიერი იყავით. მე აღფრთოვანება და მადლიერება გამოვთქვი თქვენს გამარჯვებაზე და ხელისუფლებაში მოსვლაზე. გთხოვეთ, რომ სამართლიანობის აღდგენა ყველაზე მთავარია საქართველოში და ხალხს თქვენი უსაზღვრო მოლოდინი და იმედი აქვს.

— სამწუხაროდ, თქვენ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გრძელი, მაგრამ სრულიად შეუსაბამო, გაუგებარი პასუხი გამეცით. მე გითხარით, თქვენი პასუხიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ სამართლიანობის აღდგენას არ აპირებთ და ეს ძალიან ცუდია ქვეყნისთვის, ხალხისთვის და პირადად თქვენთვის, რომლის მძიმე შედეგებს აუცილებლად მოიმკიდით და იმკით კიდეც.

— ვისი რჩევით, კარნახით თუ ზეწოლით დაწიეთ არჩევნების ბარიერი 1%-მდე, ამას ხომ არავითარი გამართლება







არა აქვს. თქვენი ქმედების მავნე შედეგები ხომ ახლა აშკარაა!

— გასაკვირია ზნედაცემული ოპოზიციის საქციელი, ტელევიზიის თითქმის ყველა არხი მისმა მხარდამჭერებმა დაიპყრეს, ყველა ჟურნალისტი მათ ექომაგება, აიკლეს მთელი ქვეყანა, მოაბეზრეს ხალხს თავი გაუთავებელი ჩხუბით, ყაყანით, თავხედობით, უზრდელობით, ღრიანცელით. მომიტინგეების უმრავლესობა პირბადეების გარეშეა, რაც ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას. ჩვენი მორჩილი პოლიცია კი მხოლოდ წესრიგისკენ მოწოდებით, დაწყნარებით, დაშოშმინებით უსუსურად და უნიათოდ ცდილობს სიტუაციის განმუხტვას. ეს აზვირთებული და აღრენილი ბრბო კი ძალადობს პოლიციაზე, საშინელ შეურაცხყოფას აყენებს წესრიგის დამცველ ჩვენს ახალგაზრდა, თავმოყვარე ბიჭებს. ნუთუ ეს არის კანონმორჩილება და ამას ავალებს უწყების ხელმძღვანელობა — შს სამინისტრო?

— თუ ვინმე აღვირახსნილი ოპოზიციონერი სრულიად კანონიერად დააკავეს, სასამართლო მეორე დღესვე ათავისუფლებს და სასამართლო დარბაზიდან ეს მოძალადეები პირდაპირ ისევ მიტინგზე მირბიან ბინძური და აგრესიული ქმედებების ჩასადენად.

კალაძემ უმჯობესია, დედაქალაქის აუარებელი პრობლემის მოგვარებას დროზე მიხედოს.

— რეგვენი შალიკო, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტს მწვავედ ლანძღავდა, წინა პარლამენტში არ შევიდა, არც ერთ სხდომას არ დასწრებია, მანდატიც დახია, მაგრამ მაღალ ხელფასს ოთხი წლის განმავლობაში უტიფრად იღებდა. ხელფასი არის ადამიანის შრომის ანაზღაურება, თქვენ კი უშრომლად ანიავებთ საბიუჯეტო (ხალხის) სახსრებს.

— ხალხს სწყურია სიმშვიდე და წესრიგი ქვეყანაში და არა ამ უღირსი და უთავმოყვარეო ბრბოს ყურება.

— ქვეყანას ჰყავს ბრძენი და გონიერი პიროვნებები, მაგრამ თქვენ მათ არც ეძებთ და არც იკარებთ, თქვენი თვითდაჯერებულობა დაღუპავს ქვეყანას და თქვენც, როგორც ქვეყნის მმართველს, მერე ძალიან გვიანი იქნება თითზე კბენანი. არ თქვათ, რომ მხოლოდ პარტიის ლიდერი ხართ და ქვეყნის მართვაში არ ერევით. არც მე გეტყვით, რომ თქვენ არაფორმალური მმართველი ხართ, თქვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ თქვენ, ბატონო ბიძინა, მართავთ ქვეყანას, სხვის აზრს და წინადადებებს არ ითვალისწინებთ.

— მიეცით საშუალება ღირსეულ პრემიერს, მინისტრებს, მართონ ქვეყანა თქვენგან დამოუკიდებლად. თქვენი საკადრო პოლიტიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — სამარცხვინოა. იმიტომაც მიიყვანეთ ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობამდე. ნუ გავიწყდებათ გენიალური პიროვნების ბრძნული შეგონება — „კადრები წყვეტენ ყველაფერს“.

— თქვენ არ გიყვართ ქვეყანაზე და ხალხზე მოფიქრალი ადამიანები. ერთხელ მაინც თუ შეხვედრიხართ ქართველი საზოგადოების სახელოვან პიროვნებებს, რა აწუხებთ, რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი, ნუთუ თქვენ ფიქრობთ, „ოცნების“ აქტივისტებს რომ ხვდებით, მხოლოდ ეს არის საკმარისი, ქვეყნის განვითარებისთვის. რატომ არ ხვდებით მეცნიერებს, ტექნიკურ ინტელიგენციას, განათლების, ხელოვნების და კულტურის ღვაწლმოსილ მუშაკებს, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გამოცდილ მოღვაწეებს და საერთოდ, მოაზროვნე საზოგადოებას. იმიტომ რომ თქვენ ერთმმართველობას ვერ თმობთ. განა არ შეიძლება, რომ ვინც პარლამენტში არ შევა, ხელფასები არ გავცეთ მათზე, იმუნიტეტიც შეუწყდეთ და ოპოზიციონერ პარტიებს დაფინანსება შეუწყდეს ბიუჯეტიდან, თუ სტრატეგიულ პარტნიორებს უნდა შეუთანხმოთ ეს ყოველივე?

— საქართველო განათლებით, კულტურით, ხელოვნებით, სპორტით, კურორტებით, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის მიღწევებით, თუნდაც საუკეთესო ტელეგადაცემებით ამაყობდა. ეს დარგები ან საერთოდ აღარ არსებობს ან სულს ღაფავენ. განა მარტო უგუნურ ოპოზიციასთან გაუთავებელი ჭიდაობა გვიშველის?

— დარწმუნებული ვარ თქვენი და თქვენი გარემოცვის დროის ბიუჯეტი მხოლოდ ოპოზიციასთან ბრძოლას და არჩევნებს ხმარდება. სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების არც განხილვა და არც გადაწყვეტა არ ხდება.

— საზოგადოების უდიდესი ნაწილი დარწმუნებული ვართ, რომ არჩევნებმა დემოკრატიულ, მშვიდ, კანონიერ, ობიექტურ და თავისუფალ ვითარებაში ჩაიარა. არჩევნების შედეგები ლეგიტიმურია, ამას წყალი არ გაუვა.

— საოცარია ხელისუფლების მომხრეები, თუნდაც ვინც გაიმარჯვა არჩევნებში, რატომ დუმან საეჭვოდ.

— საქართველოს გამორჩეული საზოგადოების დიდი ხნის თხოვნაა, რომ მსოფლიოში აღიარებული სკულპტორის მერაბ ბერძენიშვილის შესანიშნავი ქმნილება დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლი დავაბრუნოთ ავტორის მიერ შერჩეულ ადგილზე, სააკოვის თუ სააკიანის მიერ გზაგასაყარზე, სრულიად შეუფერებელ ადგილას მოსროლილი. ჩვენი პრეზიდენტის არაჩვეულებრივ საპრეზიდენტო სასახლეში გადასვლა და იქ ფუნქციონირება, თქვენ ღირსადაც არ თვლით, ხალხს აუხსნათ, რატომ არ წყვეტთ ამ საკითხებს და დუმხართ ჯიუტად.

— განა ეს ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი ქვეყნის ავტორიტეტს არ ლახავს, ან ხალხს არ განაწყობს თქვენდამი ანტიპათიურად?

— ათეულობით და ასეულობით ასეთი ეროვნული საკითხია თქვენ მიერ განუხილავი და გადაუწყვეტელი, რომლებსაც არავითარი ფინანსური რესურსი არ სჭირდება.

— თქვენი ხელშეწყობით გუნდ-გუნდ რომ დაფრინავენ საერთაშორისო ორგანიზაციებში ოპოზიციონერები ბიზნესკლასით, ჩერდებიან ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში და მწვავედ გაკრიტიკებენ მთელი მსოფლიოს გასაგონად, ასე უაზროდ იფლანგება საბიუჯეტო სახსრები. ზოგიერთები ისეთ ქვეყნებში დაფრინავენ, დიპლომატიური ურთიერთობაც რომ არ გვაქვს.

— ერთხელ ვენის აეროპორტში შემხვდა პარლამენტის სპიკერი, მას ახლდა ორი თანამშრომელი ქალბატონი, დაცვის ბიჭები და ყველა მისი ოჯახის წევრი, აუარებელი ტვირთით აცილებდა მთელი ჩვენი საელჩო.

— რას აკეთებენ პარლამენტის კომიტეტები, ვინმეს წერილობით ანგარიშს აბარებენ? ალბათ, არა!

— მდიდარი ხალხით არის გადაჭედილი პარლამენტი, განა ეს ცუდია? მაგრამ ვინ ფიქრობს ხალხზე ან ქვეყანაზე და არის გაუთავებელი ბრძოლა უღირს ოპოზიციასთან, რომელიც პარლამენტში ამაზრზენად იქცევა და არაფერზე პასუხისმგებლობას არ გრძნობს.

მომავალ შეხვედრამდე, ბატონო ბიძინა! მე მხოლოდ წარმატებები და გამარჯვებები მინდა, გულწრფელად გისურვოთ ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს კეთილდღეობისთვის. თქვენ მშვენიერ ოჯახს ბედნიერებას და გამრავლებას ვუსურვებ!



**ომარ მარგველაშვილი**

**საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური დასრულდა, მაგრამ ოპოზიციისთვის ეს დასასრულის დასაწყისად იქცა. დაიწყო გამოსვლები, აქციები შეძახილებით — „ბიძინა წადი“, საოლქო უბნებში შეჭრა, ცესკოს პიკეტირება, რომელიც შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდა, ამას კი დაკავებები მოჰყვა. ოპოზიციის პროტესტი ნიშნავს თუ არა, „ვარდების რევოლუცია 2“-ის გამეორებას, ამ კითხვით ყოფილ დეპუტატს, კობა ნარჩემაშვილს მივმართეთ.**

## კობა ნარჩემაშვილი:

# „ვარდების რევოლუცია 2“ არ განმეორდება!



**კობა ნარჩემაშვილი** — არა, „ვარდების რევოლუცია“ აღარ გამეორდება, რადგან მსგავსება საერთოდ არაა. ისტორიაში ასეთი რაღაცეები არ მეორდება.

**— მაშინ დღეს რასთან გვაქვს საქმე, როგორ შეიძლება ვითარება განვითარდეს?**

— ორი მარგინალური ძალის დაპირისპირების პროცესია, რომელშიც საზოგადოების ნაწილია ჩართული, მეტი არაფერი.

**— ამბობთ, რომ ორი ძალის დაპირისპირება მიმდინარეობს და ამ დაპირისპირების ფონზე შეიძლება მესამე რეალური ძალა გამოჩნდეს?**

— მესამე ძალა თუ გამოსაჩენი იყო, აქამდე უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ, ჯერჯერობით ამის რესურსი ამ პოლიტიკურ სისტემაში არ არსებობს. ანუ, გაერთიანების რესურსი არ აქვთ.

**— შეიძლება, რომ ბიძინა ივანიშვილს აწყობდეს ეს სიტუაცია, რომელიც დღეს ქვეყანაშია?**

— წესით, არ უნდა აწყობდეს. ვერც იმას ვერ ვიტყვი, რომ მმართველ გუნდში ვინმეს გამბედაობა ეყოს და ვადამდელი არჩევნები დანიშნოს.

**— ჯამურად ოპოზიციამ ეს არჩევნები მოიგო და მათ 52% აქვთ. არ ურჩევნიათ პარლამენტში შესვლა?**

— ოპოზიციამ როგორ მოიგო? უბრალოდ, თუ ოპოზიცია მოიგებდა ამ 30-ვე ოლქს, ოპოზიციას დაემატება. მაგრამ, როგორც ჩანს, ოპოზიცია მეორე ტურში მონაწილეობას არ ღებულობს.

**— ოპოზიცია მეორე ტურში მონაწილეობას არ ღებულობს, ითხოვს არჩევნების გაუქმებას და აქციებს მართავს, თქვენი აზრით, მათი ეს პროტესტი შედეგს გამოიღებს და თავიანთ საწადელს მიაღწევენ?**

— მყისიერ შედეგს არ გამოიღებს, თუმცა, ამაში გარკვეული პოლიტიკური ფასი ხელისუფლებას გადასახდელი ექნება. არ ვიცი, ეს ერთი წლის შემდეგ იქნება თუ არა, მაგრამ ის, რომ ამ პოლიტიკურ პროცესს თავის დაღს დაასვამს, ფაქტია. მე უფრო ვვარაუდობ, რომ ეს შედეგს გამოიღებს ერთ ან ორ წელიწადში.

**— კონკრეტულად, რა შედეგს გამოიღებს თქვენი ვარაუდით?**

— ეს შეიძლება გამოიხატოს ვადამდელ არჩევნებში. რა თქმა უნდა, თუ ოპოზიციამ შეძლო და შეინარჩუნა ის ერთობა, რომელიც დღეს აქვს. თუმცა, პირდაპირ გეტყვით, რომ ამ ერთობის შენარჩუნება იოლი არაა.

**— დიახ, ოპოზიციის ერთობის შენარჩუნება დღესაც უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ არის, რადგან ვხედავთ, რომ პირდაპირ ეთერში უპირისპირდებიან ერთმანეთს და ეს „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს.**

— ამიტომ გეუბნებით, რომ ამ თვალსაზრისით, სერიოზული განსაცდელის წინაშეა ოპოზიცია, რადგან ამ ერთობის შენარჩუნება, რომელიც ერთი შეხედვით აქვთ, საკმაოდ რთული იქნება. რასაკვირველია, თუ ეს ერთობა ვერ შეინარჩუნეს, ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი იქნება. მაგრამ, თუ შეინარჩუნეს ის ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი ვერ იქნება, იმიტომ, რომ ეჭქვეშ დააყენებს საერთოდ საპარლამენტო ცხოვრების ლეგიტიმაციას.

**— როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციის გაერთიანებას ხელს შეუწყობს?**

— ამ შემთხვევაში მიშა არის ინსტრუმენტი. პროცესის არსი სულ სხვა რამეშია. ძალიან ცდება ვინმე, თუ ფიქრობს, რომ მიშა არის პროცესის ღერძი. მიშა არის ერთ-ერთი აქტორი. „ოცნების“ ცუდი პოლიტიკის გამოა, რომ მიშა დღეს აქტორია, თორემ მიშა არ უნდა იყოს აქტორი.

**— მაშინ ვის ხედავთ ოპოზიციაში ლიდერად?**

— ძალიან რთულია ამაზე საუბარი. 31 ოქტომბერს იყო არჩევნები და ვნახეთ, ამდენი სუბიექტიდან ვის რა შესაძლებლობა აქვს. დღეს ვინმე პოლიტიკური გაერთიანების გარეშე გახდეს ლიდერი, ძალიან ძნელი იქნება. ერთ დღეში ასეთი პროცესი არ ყალიბდება, ამას დრო სჭირდება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ხელისუფლება ცალკე ებრძვის და ე.წ მეორე ოპოზიციური ძალა ყველაფერს აკეთებს, სხვა პოლიტიკური ძალების დისკრედიტაციისთვის.

**— როდემდე იქნება ოპოზიცია ერთად, როცა ვხედავთ, რომ ისინი მაინც ერთიანად ცდილობენ არჩევნების გაუქმებას?**

— იქამდე იქნებიან ერთად, ვიდრე ამ პროცესს ექნება საზოგადოების მხარდაჭერა. თუ ოპოზიციურმა ძალამ საზოგადოების მხარდაჭერის მუხტი ვერ შეინარჩუნა, ეს პროცესები დიდ ხანს არ გაგრძელდება.




**— მათ ცესკოს ის მაინც გააკეთებინეს, რომ უბნები გაახსნევინეს და ოქმებს ახლიდან ათვლევინებენ...**

— ოქმების გახსნამ, აუცილებლად, რაღაც შედეგი უნდა გამოიღოს, რადგან გამოჩნდება ვინ არის მართალი. რამდენიმე ათეული ოქმით შედეგი გამოიკვეთება. ტენდენცია გამოჩნდება, რა იყო ეს, იყო თუ არა ცუდად და გაყალბებულად ჩატარებული არჩევნები? მე ეს ყველაფერი მაინტერესებს არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სამართლებრივადაც. თუ გამოჩნდება, რომ ვიღაცამ ეს გააფუჭა, ამას სამართლებრივი რეაგირებაც უნდა მოჰყვეს.

**— მოჰყვება სამართლებრივი რეაგირება?**

— თუ სერიოზული უკანონო ქმედებები გამოვლინდა და სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყვა, მაშინ საზოგადოებრივი უკმაყოფილება გაიზრდება.

**— მაგრამ ოპოზიცია სასამართლოს არ მიმართავს, რადგან მის ობიექტურობაში დარწმუნებული არ არის...**

— ეს პოლიტიკური დღის წესრიგია. ძალიან რთულია ამის გარკვევა. პირდაპირ გეტყვით, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილის მიმართაც არ მაქვს ნდობა და ასევე ხელისუფლების მიმართაც არ მაქვს ნდობა.

**— თქვენ მაინც ვისკენ იხრებით?**

— მე ვიხრები იმისკენ, რომ ქართველი ხალხი სწორად ვითარდებოდეს. მინდა, რომ ქვეყანაში ყველაფერი სამართლიანად ხდებოდეს. ახლა გამოჩნდა, რომ არჩევნების ამ პირობებში ჩატარება ამორალური გადაწყვეტილება იყო, რაზეც პასუხისმგებლობა, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას ეკისრება. არჩევნების პანდემიის პირობებში ჩატარება იყო უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, ყოველდღიურად საზოგადოება ამის შედეგებს იმკის.

ესაუბრა
**ქეთი გიორგაძე**

# ...„მუჰამედი“ უნდა მივიდეს მთასთან!

**ისტორია ადასტურებს, რომ ძალადობით მოსული ხელისუფლება ყოველთვის საშიშია ხალხისთვის — იგი ხელს უწყობს დიქტატურის დამკვიდრებას და საზოგადოებაზე ძალმომრეობის გაძლიერებას ხელისუფლების მხრიდან!**

მითუმეტეს, ერთია, სახალხო აჯანყება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და გაცილებით სხვაა, ერთი მუჭა, პოლიტიკური ავანტიურისტების მიერ გაბრიყვებული მასის მცდელობა — სიცრუის ტირაჟირებითა და აკრძალული ხერხებით ხელი შეუწყონ ძალმომრეობაზე დაგეშილი პოლიტიკური მეძავების უმრავლესობაზე გაბატონებას. სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ ვსწავლობთ საკუთარ შეცდომებზეც კი და დანაშაულებრივი პასიურობით ხელს ვუწყობთ დრამატული, ხელოვნურად აგორებული პროცესების აზვირთებას!

თუ პროტესტის მიზეზი გაყალბებული არჩევნებია, არსებობს ყველა ბერკეტი იმისთვის, რომ „ამბოხებულთა“ და სხვადასხვა ნეიტრალური (სპეციფიკური) ორგანიზაციების მონაწილეობით ხელახლა გადაითვალონ ბიულეტენები და დადგინდეს გაყალბების მასშტაბები!

თუმცა,როგორც ჩანს, ეს მავანთა ინტერესებში არ შედის, რადგან, მათი მიზანი უფრო შორს მიდის, ვიდრე, ობიექტურობის დადგენაა.

მიუხედავად, მმართველი გუნდისადმი საზოგადოების კრიტიკული დამოკიდებულებისა, ე.წ. აგრესიულმა ოპოზიციამ, რომელმაც საკუთარ ავანტიურაში ჩაითრია ერთპროცენტიანი და ზოგადად ურეიტინგო პარტიებიც, კარგად იცის, რომ არჩევნებით ვერ დაბრუნდება (ვერ მოვა) ხელისუფლებაში და დესტრუქციული ქმედებებით, ცდილობს საპროტესტო მუხტის აგორებას, რომელსაც გაქანებული პანდემიის პირობებში, მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. მივესალმები სიტყვისა და საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ, როცა პროტესტი ძალადობრივ ქმედებებს შეიცავს, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ წყლის ჭავლით გაგიმასპინძლდნენ!

აბა რა უნდა გაეკეთებინა პოლიციას: იობის სიმშვიდით ეცქირა, როგორ შეცვივდებოდნენ ეგზალტირებული ახალგაზრდები ცესკოს შენობაში და როგორ მოახდენდნენ მის ბლოკირებას?!

კი ბატონო, არ მოგვწონს თამარ ჟვანიას საარჩევნო ადმინისტრაცია, მაგრამ, ხომ შეგიძლია, შენივე მონაწილეობით, შექმნა კომპეტენტური კომისია და ხელახლა გადათვალო ბიულეტენები?

თუ ტოტალური გაყალბების ნიშნები გამოიკვეთა, მაშინ, არა მარტო ჟვანია უნდა შეეწიროს არჩევნების გაყალბებას, არამედ, „ქართულმა ოცნებამაც“ უნდა აიკრას გუდა-ნაბადი და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადაში უნდა ჩატარდეს რიგგარეშე და არა განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები.

ვინც საქართველოში ცხოვრობს და ელემენტარულად აზროვნებს, დამეთანხმება, რომ „ნაციონალებისთვის“ და დანარჩენი ოპოზიციისთვის დაწერილი პროცენტები გაცილებით იმაზე მეტია, ვიდრე, შეიძლებოდა ჩვენ წარმოგვედგინა, რადგან, პროფესიული და კონსტრუქციული ოპოზიცია, როგორც ასეთი, ქვეყანაში არ არსებობს. ერთადერთი, დაეჭვების საფუძველს გვაძლევს „პატრიოტთა ალიანსისთვის“ გამეტებული პროცენტები, რომელთა სასარგებლოდ ჩაგდებული ბიულეტენები, ადვილად შესაძლებელია ქუჩაში გამოსული ოპოზიციის ყულაბაში აღმოჩენილიყო. აკი წამოცდა კიდეც ირაკლი კობახიძეს: არჩევნები ოპოზიციამ გააყალბაო!

საზოგადოებას აქვს თმენის ვალდებულება, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, სოციალურ ქსელში ცარიელი მუშტი იქნიოს და ელოდოს, ავანტიურისტთა თავხედობით როდის ჩამოიშლება ისედაც უსუსური სახელმწიფო!!!

არა, შურისძიებით შეპყრობილთა და შუბლისძარღვგაწყვეტილთა ძალადობას!

და ბოლოს:

თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ, მუჰამედი უნდა მივიდეს მთასთან, გამოთქმისა არ იყოს — „ქართულ ოცნებას“ სახელმწიფო ინსტიტუტების შენარჩუნების შნო თუ არ ექნება, ჩვენ, დღეს შორიდან მაცქერალმა, ნეიტრალურმა თუ პირობითად ხელისუფლების მხარდამჭერმა უმრავლესობამ, უნდა ვაიძულოთ იგივე ხელისუფლება, დანიშნოს არა განმეორებითი, არამედ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ე.წ. პოზიცია -ოპოზიციის კუკუდამალობანას თამაში!

ძალით თავს მოხვეული კოჰაბიტაცია ისტორიის სანაგვეში უნდა მოვისროლოთ!



**ზაურ ნაჭყებია**

# „ქართული ოცნება“ ინარჩუნებს სახეს, უსაფრთხოებას, დემოკრატიას, თორემ ნაციონალების გაჩერებას რა უნდა?!

**„პანდემიის დროს კაცობრიობამ მეტი ვერაფერი მოიფიქრა — პირბადე და დისტანცირება. გარკვეული პირბადე და დისტანცირება ნაცებთანაც დაგვჭირდება“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი.**



**— ვადამდელ არჩევნებში არის გამოსავალი, თუ ხელისუფლებამ არ უნდა დათმოს? რას მიაღწევენ ოპოზიციონერები საპროტესტო აქციებით?**

— გასაგებია ოპოზიციის სურვილი, როგორმე ქვეყანა არიონ და „რევოლუციისკენ“ წაიყვანონ. სინამდვილეში, არც „ვარდების რევოლუცია“ იყო რევოლუცია და, მით უმეტეს, ახლა ამის გაკეთება შეუძლებელია. მაშინ ეს იყო ტიპური გადატრიალება, რომელიც ტელეტრანსლაციით დაიდგა. 2003 წელს ეს მოხდა იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან სუსტი იყო სახელმწიფო ინსტიტუტები, დღევანდელ ვითარებაში კი წარმოუდგენელია, ტელევიზიით შექმნა კონტრძალაუფლება, დაამხო და მოახდინო ქვეყნის ოკუპაცია. რას მიაღწევენ ამით? უბრალოდ, ქვეყანას შეუქმნიან პრობლემებს, რამდენადაც ეს შეეძლებათ. წარმოიდგინეთ, პანდემიის გააფთრების პირობებში ვცხოვრობთ, რაც დიდ ზიანს აყენებს ეკონომიკას, ასეთ დროს ეგენი დამხობას ვერ მოახერხებენ, მაგრამ ბარიერებს შეგვიქმნიან.

მათ თავის მოგიჟიანების გზა აირჩიეს, ეს ობიექტური რეალობის მიუღებლობაა. ეს ონტოლოგიური სიგიჟეა, როცა შედეგები ჯერ არ გამოცხადებულა, ჯერ კიდევ ითვლება ხმები და უკვე მივარდნენ ცესკოში, რაც ჩვენ გვინდა, ის გამოაცხადეთ შედეგადო. თუკი ჭკუიდან არ გადავიდა მთელი ქვეყანა, ეს არ მოხდება. არსებობს ობიექტური რეალობა და არსებობენ სუბიექტები, რომლებიც ამ რეალობის მიღებას არ აპირებენ. ეს სადამდე მივა? ეს ყველაფერი გროტესკის ფორმას მიიღებს. ერთდროულად საზარლებიც იქნებიან და ძალიან სასაცილოებიც.

**— ხელისუფლების მხრიდან დათმობისკენ პირველი ნაბიჯები იდგმება. წვრილმანებშიც იგრძნობა უკანდახევა, თუნდაც იმაში, რომ ნიკა მელიასთვის სამაჯურის შებმა აღარ არის პრინციპული.**

— ჩვენ ჯერ ისევ არჩევნების პროცესში ვართ. სანამ არჩევნები არ ჩათავდება, ჯერ მეორე ტურია წინ და შემაჯამებელი ოქმი უნდა იქნეს მიღებული, პლუს საჩივრებია განსახილველი. ნორმალურ ქვეყანაში ასეთი სიგიჟის ყურება წარმოუდგენელია. ოპოზიციას დღეს აწყობს რაიმე ექსცესი, რაც უფრო მძაფრი იქნება დაპირისპირება, ეს იქნება, ვთქვათ, აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება, რაც სამართლებრივად სავალდებულოა ნიკა მელიას მიმართ, ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს.

**— ანუ სამაჯურის მოხსნის დრო სწორად შეარჩია მელიამ?**

— რომ გითხრათ, ძალიან ეფექტური იყომეთქი ეს სამაჯური, ასე არ არის. სამაჯური არანაირად არ უზღუდავდა მას თავისუფლებას. როცა უნდოდა, სადაც უნდოდა, ისე დადიოდა. უბრალოდ, კონტროლდებოდა, რომ მელია არ მიმალულიყო. მიმალვას არც აპირებს. ოპოზიცია ახლა ფიქრობს, რომ უკრაინაში მყოფ სააკაშვილს ნატვრის თვალი აქვს, რაც სრული საგიჟეთია.

**— როგორ გგონიათ, ამ საგიჟეთის ნაწილია გუბაზ სანიკიძის კიდევ ერთი მეტამორფოზა და ამჯერად ნიკა მელიასთან დაპირისპირება? მართლაც შეგზავნილი ხომ არ არის გუბაზი, როგორც მელია მიიჩნევს?**

— გუბაზი არის ადამიანი, რომელიც მუდმივად საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. შიზოფრენია სხვა არაფერია, თუ არა პიროვნების დანაწევრება, დაშლა რამდენიმე პიროვნებად, რომელთა შორისაც მუდმივად კონფლიქტია. ამ გზას დაადგა გუბაზი. ეს ეპოქალური უბედურებაა, როცა რეალობის მიღება არ გინდა. ეს ქართველებს არქეტიპში გვაქვს, დიონისური საწყისები ქართულ ხასიათში არის, გაიხსენეთ ბაკხები. თვითონაც იძახის სააკაშვილი, გიჟს მეძახიანო. გარდა ყველაფრისა, სააკაშვილი კოვიდიდიოტიცაა, ახლა გვარწმუნებს, კორონა გადავიტანე და თქვენც ნუ შეგეშინდებათ, საპროტესტო აქციებზე მოდითო. ვიმეორებ, რეალობა ჩვენ არ გვიყვარს, ელიოზი რომ იყო, ნატვრისთვალს რომ ეძებდა („ნატვრის ხე“), ასევე, გავიხსენოთ „შერეკილები“, ლიტერატურაში ეს პოზიტიურად გამოიხატა. ისე, „ქართულ ოცნებასაც“ კი ოცნება ჰქვია, რაც მე არ მომწონს, ოცნება კი არა, საქმეა მთავარი.

გამაოგნებელია, რომ შედეგები ჯერ არ დათვლილა და აპრიორშივე ამ შედეგებს ემიჯნებიან, ფუნდამენტურად უარყოფენ და, რაც მათ უნდათ, იმას აცხადებენ რეალობად. საერთაშორისო შემფასებლებმა არა მარტო ეს არჩევნები, არამედ ოპოზიციის მოქმედებაც შეაფასეს და პირდაპირ თქვეს, რომ არაადეკვატურობაა, როცა პროცესი არ დასრულებულა და ოპოზიცია ასეთნაირად იქცევა. პროცესი მოიცავს დათვლას, ოქმების გაფორმებას, მერე ამ ოქმების გასაჩივრებას, ხელახლა გადათვლას, საარჩევნო შეცდომების გამოსწორებას. სანამ ეს პროცესი არ დასრულებულა, იმის ძახილი, რომ არჩევნები გაყალბდა, სიგიჟეა. თუ შენ სხვა რამ გინდა, ქვეყნის გადარევა და თავზე დამხობა, ეს სხვა რამეა. კონტრძალაუფლება იკვრება „გლავკანალის“ მეშვეობით. ეს არ არის მედია, ეს არის პოლიტიკური ცენტრი. ტელეპატია რაც არის, ეს არის ამის მატერიალიზება, სიგიჟის ტრანსლირება, რომელიც ინფექციასავით ვრცელდება. ამ კონტრძალაუფლებაში დომინანტი მდგომარეობა მოიპოვა „ნაცმოძრაობამ“ და მიკროპარტიები ჩამოალაბორანტა.

**— გულისხმობთ იმას, რომ ოპოზიციური პარტიები ნაცების ტყვეობაში იმყოფებიან?**

— ამას ტყვეობა არ ჰქვია, ისინი ნაცების „შნირებად“ იქცნენ. სააკაშვილი მათ ატყუებს, რომ ნატვრისთვალი აქვს და, რაც მათ უნდათ, იმას მიიღებენ, ახლა ბურჯანაძე 1%-საც ვერ იღებს და როგორი ნატვრისთვალიც არ უნდა ჰქონდეს მიშას, ამისგან არაფერი გამოვა. გამაოგნებელი იყო, როცა ბურჯანაძემ, ამ ვითომ რაციონალურმა ადამიანმა, ნიკა გვარამიას პირდაპირ ეთერში მადლობა გადაუხადა, ანუ ბურჯანაძე ხალხის გამგიჟებელს მადლობას უხდის. სიგიჟე თუ უნდათ, არავითარი მანდატი პარლამენტში არ ერგებათ. ქვეყნისთვის ეს საფრთხეა, ესენი პარლამენტში რომ მოხვდნენ, ვინც იცის რა ხიფათს გადაგვყრიან! ეს არარაციონალური ხალხია.

**— ერთპარტიული პარლამენტიც ხომ ძალზე უინტერესო იქნება?**

— რაღაც გამოსავალი ქვეყანას სჭირდება, რათა დემოკრატიული პროცესი არ შეჩერდეს, ოპოზიცია შეიქმნას. ცხადია, ერთპარტიული პარლამენტი პრობლემაა, მაგრამ არ შეიძლება პარლამენტს გარეთ იყოს ოპონირება, კონტრძალა და მუდმივი დაპირისპირება. მით უმეტეს, ასეთი პრობლემის წინაშე ვდგავართ — ძალიან დიდი საფრთხეა პანდემია.

**— თუკი ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება, ჩამოიშლება ეს პარლამენტი? ზოგიერთი ოპოზიციონერი გაზაფხულზე ვარაუდობს პარლამენტის ჩამოშლას.**

— არაფერი არ ჩამოიშლება, მაგრამ პრობლემები რომ შეიქმნება, ეს უდავოა. განსხვავება ისაა, რომ ადრე ნაციონალებს არ ჰქონდათ კონტრძალაუფლების ინსტანცია — „მთავარი არხი“ წინათ არ არსებობდა. ახლა კი დემოკრატიაა, გვარამია ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ ის არის გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, ცესკო, ჟურნალისტი... „მთავარი არხი“ ცდილობს, კონტრძალაუფლება და კონტრსახელმწიფო შექმნას, ეს ნიშნავს დაპირისპირებას სახელმწიფოსა და კონტრსახელმწიფოს შორის, ეს არასასურველია და ბევრ პროცესს დააზარალებს, ეკონომიკას, პოლიტიკას... ამ პანდემიის პირობებში მასობრივი შეკრებები წახალისებულია, რაც დიდ საფრთხეებს უკავშირდება. ითქვა კიდეც რამდენიმე ექსპერტის მიერ, რომ ეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხი შეიძლება იყოს. ეს არის ნოყიერი ნიადაგი, რომ საგარეო მტერი ჩაერიოს ვითარებაში და სიტუაცია სათავისოდ გამოიყენოს. ეს არის ჰიბრიდული ომი. ვითომ მშვიდობაა, მაგრამ მხარეებს მიზნად აქვთ ერთმანეთის იდენტობის განადგურება. ეს რუსული სცენარია, რომ არ შედიან პარლამენტში. თუმცა ეს მარტო რუსეთის ინტერესში არაა, საქართველოს მტერი მარტო რუსეთი არაა, რუსეთი ყველაზე უფრო ეგზისტენციალური მტერია, მაგრამ ყველა არაკეთილმოსურნეს შეუძლია ამ სიტუაციით ისარგებლოს. ამიტომ პარლამენტი რომ შეიკრიბება, ამაზე უნდა იმსჯელონ.

სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, ჩვენ ჯერ კიდევ საარჩევნო პროცესში ვართ, არჩევნები არ დასრულებულა. **ჩვეულებრივი ამბავი არ არის, როცა ქვეყანაში პოლიტიკურ ძალებს შორის ჰიბრიდული ომის მდგომარეობაა. ჰიბრიდული ომი იდენტობებს შორის ომია. ის არ ცნობს სახელმწიფოს და თავის კონტრძალაუფლებას, კონტრსახელმწიფოს აყალიბებს და ყველა პროცესს ბლოკავს**. საქართველოში არსებული სიტუაცია ყველაზე კარგად აღწერა ორმა ადამიანმა, **ერთია გური სულთანიშვილი,** რომელმაც **ამ პროცესს უწოდა სიგიჟის დაფუძნება,** ზუსტად ეგ ხდება „გლავკანალით“, მეორეა **ზაზა შათირიშვილი,** რომელმაც ზუსტი დიაგნოზი დასვა, რომ, **რასაც „ქართული ოცნება“ ახერხებს, ეს არის კულტურული მმართველობა ბარბაროსების პირობებში. ანუ „ქართული ოცნება“ ინარჩუნებს სახეს, დემოკრატიას უფრთხილდება, თორემ ამაზე ადვილი რა არის? ნაციონალების გაჩერებას რა უნდა? არაფერი, ოღონდ გააჩნია, მერე რა შედეგებს მიიღებ. დემოკრატიის ფარგლებში ცდილობს დარჩეს „ქართული ოცნება“, კულტურულად მართოს, მაგრამ საქმე აქვს ბარბაროსებთან. როგორც ჩვენ ვართ განწირულნი, ადაპტაცია გვჭირდება და უნდა ვიცხოვროთ კორონავირუსთან, ისე მოგვიწევს ადაპტაცია ნაცებთან**. თუმცა ხელების ჩამოყრაც არ შეიძლება. დემოკრატია ლობიობა არ არის და რაღაც ზომები მისაღებია. პანდემიისას კაცობრიობამ მეტი ვერაფერი მოიგონა — პირბადე და დისტანცირება, **გარკვეული პირბადე და დისტანცირება ნაცებთანაც დაგვჭირდება. ხელისუფლებაში მოსვლა კი არ არის მათი მიზანი, არამედ ხალხის გაგიჟება.** დღეს არ არის ის ვითარება, რაც 2003-ში ხდებოდა, როცა სახელმწიფო იყო სუსტი, თიხის ფეხებზე იდგა შევარდნაძე, სული შეუბერეს და ჩამოიქცა. არც ახლა ვართ ძალიან ძლიერები, მაგრამ ეგრე არ გამოვა.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# ეჰ, ირმა, ირმა ინაშვილო, რა გინდოდა პოლიტიკაში?

**იქნებ გაგახსენდე, იმხანად საქართველოს ერთადერთ ტელე-რადიო მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, შენ, ახალგაზრდა ჟურნალისტი რომ მოხვედი, მე იქ ვმოღვაწეობდი, თუმცა, ქვემო ქართლში, რუსთავის კორესპონდენტად, მაგრამ თავიდანვე კარგად ვურთიერთობდით.**

შენ თავიდანვე მიიპყარი ყურადღება, როგორც ნიჭიერმა, მებრძოლმა ჟურნალისტმა, პრინციპულმა და ენერგიით აღსავსემ. ერთხელ, კიდევაც რუსთაველებმა მეტალურგიული ქარხნის მაშინდელ ხელმძღვანელთან ვახტანგ ჭეიშვილთან ერთად მოვამზადეთ ნახევარსაათიანი რადიოგადაცემა, მერე რესტორანშიც გიმასპინძლე, ასე რომ, ქართულ ტრადიციას არ ვუღალატე.

მერე და მერე ასპარეზზე გადაიჭერი, საკუთარი პარტიაც შექმენი, მეტად საპატიო სახელით „პატრიოტთა ალიანსი“, რა თქმა უნდა, ჩინებულ თანამებრძოლ დავით თარხან-მოურავთან. გვერდით კი დიდი გვარის, დიდი მამულიშვილის ქალიშვილ ადა მარშანიასთან, ერთადერთ წარმატებულ აფხაზეთის ღირსეულ გვარის შვილთან.

მე, როგორც აფხაზეთთან წილნაყარს — იქ, მერხეულის სასაფლაოზე განისვენებენ ბიძაჩემი, დიდ სამამულო ომგამოვლილი, მრავალი ჭრილობითა და ორდენებით დამძიმებული მაღალი რანგის ოფიცერი, შალვა ჯახუა თავისი ოჯახის მიცვალებულებთან ერთად, მეც წლობით აფხაზეთში ვიზრდებოდი, ომში დაღუპული მამის, ობოლი ვაჟი ბიძის ოჯახს შეკედლებული. ასე რომ, ვამაყობ ჩემი აფხაზეთით.

მომიტევეთ, სათქმელს ავცდი, ახლახან, ჩვენი საუკუნოვანი, საქვეყნოდ წარჩინებული გაზეთის„საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცელზე ბატონი ნაპო მესხიას გულისტკივილიანი წერილი წავიკითხე, საიდანაც შევიტყვე, რომ თქვენ ზურგი გიქცევიათ ადა მარშანიასთვის, უარი გითქვამთ თანამშრომლობაზე, გაგირიყავთ, კი მიკვირდა, რომ არ ჩანდა. არადა, თვეების წინ, თქვენ თითქოს მოიარეთ აფხაზეთი, გული გეწვით, გემდუღრებათ აფხაზეთის გაუკუღმართებულ ბედზე და თან არ იახლეთ ქალბატონი ადა, ამან ცოტა არ იყოს გამაკვირვა კიდევაც. არადა, ქალბატონ მარშანიასთან, მისი დიდებული მამა, მამულიშვილთა საგვარეულო მშობლიური კუთხისა და საქართველოს მოამაგე თაობებიც კი დგანან უთუოდ აფხაზეთში?

მე არ შემიძლია აქ არ გავიმეორო ბატონი ნაპო მესხიას სიტყვები: „რამ გაიძულათ აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის, მთლიანად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სიმბოლოსა და ჭირისუფალთან ასეთი ფორმით დამანძილება?!“

ქალბატონი ადა მარშანია და მისი დიდებული მამა, იმ უბედურებისა და ტრაგედიის შემდეგ ჩვენ მიგვაჩნდა აფხაზეთის დაბრუნების რწმენად და იმედად, მათი გვარის გაჟღერება პარლამენტში და მის გარეთაც გვიხაროდა და გვამხნევებდა აფხაზეთელებს.

თქვენ კი ამაყად იძახდით, აფხაზეთის ტანჯულ მიწაწყალზე გული გვეწვისო, თან შენი ამქრით, აფხაზეთს ადას გარეშე მიაშურეთ.

ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.



დიახ, ღირსეული მამის ერთადერთი ქალიშვილის ღვაწლი, თავდადება, ქართველობა ღირსეულად უნდა დავაფასოთ, მას არაფერი სჭირს „პატრიოტთა ალიანსისა“ და მისი მესვეურების სამეურვეო, ქალბატონო ადა, ირწმუნეთ, საქართველო თქვენთან, პირადად თქვენს გვერდითაა, თქვენ შეგწევთ ძალა და უნარი, გამოცდილება, შექმნათ აფხაზეთის ღირსების დამცველთა პარტია, ორგანიზაცია და ჩვენ, ყველანი, თქვენს გვერდით გვიგულეთ.

**გივი ჯახუა**

(პირველი გვერდიდან) მონათმფლობელობის პერიოდიდან დაწყებული ადამიანი თავისუფლებისკენ მიისწრაფვოდა, შემდეგ – ბატონყმობის უღლისგან თავის დასახსნელად, არჩევნებში მონაწილეობის, სიტყვის თავისუფლების და ადამიანის უფლებების მოსაპოვებლად, ერთი სიტყვით, – სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობისთვის, დემოკრატიისთვის იბრძოდა და, XX საუკუნეში, თითქოს, მიაღწია კიდეც საწადელს, ბევრმა ერმა კი, რომლებსაც არასოდეს არ ჰქონიათ სახელმწიფო, ფორმალურ დამოუკიდებლობასაც გამოჰკრა ხელი (ზოგიერთებისთვის სრულიად მოულოდნელს, – მაგალითად, აფრიკაში).

რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს? თითქოს, დემოკრატიული წყობაა მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოში, ხალხის რჩეული პარლამენტარები უძღვებიან სახელმწიფოს, ადამიანის უფლებებს ადგილობრივის გარდა, საერთაშორისო სასამართლოც იცავს, მაგრამ... ვითომ უფრო თავისუფალი გახდა ადამიანი, თუ – ბევრად უფრო კონტროლირებადი?

როდესაც თითოეული ჩვენგანის ყოველი ნაბიჯი ავტომატურ რეჟიმში კონტროლდება მობილურის (თუნდაც, გამორთულის!) და სათვალთვალო კამერების მეშვეობით, და ე.წ. „პირისახის კონტროლით“ (Face control) ქუჩაში ნებისმიერი ადამიანის ამოცნობა (ხმითაც კი!) და მისი ადგილსამყოფელის დადგენაც მომენტალურადაა შესაძლებელი, როდესაც ჩვენი ყოველი საუბარი მობილურით ფიქსირდება და იწერება, როდესაც ჩვენი ელექტრონული ხელსაწყოებიდან (უპირველესად, პერსონალური კომპიუტერიდან) სპეცსამსახურებს შესაძლებლობა აქვთ, ოჯახში ნათქვამი ყოველი სიტყვა მოისმინონ და საძინებელში ფოტოებიც კი გადაგვიღონ, როდესაც არათუ პატარა საფრენი აპარატების, არამედ დიდი ლაინერების მიწიდან მართვა გახდა შესაძლებელი (პილოტების ნების საწინააღმდეგოდ!) და მისი ნებისმიერ აეროდრომზე დასმა ან ზღვაში ჩაგდება (მთაზე, შენობაზე დაჯახება) ტექნიკურ პრობლემას აღარ წარმოადგენს და, სახელმწიფოს პოლიტიკის განმკარგავი ძალების ხელთ არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შესაძლებელია ყველაფერი, სადღაც გამოქვაბულში მჯდომ ტერორისტს გადაბრალდეს, რომელსაც კალაშნიკოვის ავტომატის მეტი არაფერი გააჩნია, ჩადენილი ტერორისტული აქტების გამოძიება კი, – როგორც კერძო, ისე ჟურნალისტური, აკრძალო; როდესაც ადამიანს, როგორც საქონელს ისე ეპყრობი და სამსახურიდან დათხოვნის ანუ ულუკმაპუროდ დატოვების მუქარით (ან, – შვილების საბავშვო ბაღში, სკოლაში არმიღებით და სხვა სანქციებით) და კონსტიტუციის იგნორირებით არაეფექტურ, ხშირად მძიმე გართულებების გამომწვევ აცრებს აძალებ, რომელ თავისუფლებაზე, რომელ თავისუფალ არჩევანზე შეიძლება ლაპარაკი!

ასეთი სურათია ყველგან – დემოკრატიულ დასავლეთში და თვით, ყველას მაკონტროლებელ შეერთებულ შტატებშიც. რატომ, რა მიზნით ხდებ,ა რაც ხდება და, თანაც, თითქმის ერთნაირად მთელ მსოფლიოში? შეუძლებელია, ამგვარი კითხვები რომ არ გაუჩნდეს კაცს.

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების (რევოლუციების, ომების, ტერორისტული აქტების, განვითარებადი სახელმწიფოებისთვის გაწეული „დახმარების“, კრედიტების, რეფორმების და სხვათა) არსში ჩასაწვდომად, მათ ჭეშმარიტ მიზეზებში გასარკვევად, საჭიროა გლობალისტებად წოდებული, გარკვეული კატეგორიის მულტიმილიარდერი ადამიანების ჯგუფის, გნებავთ, კლანის მიზნების ცოდნა. ამ ადამიანებმა თავიანთი განუსაზღვრელი ფინანსური შესაძლებლობების წყალობით თანდათანობით, საუკუნეების მანძილზე, განსაკუთრებით კი, ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ხელთ იგდეს სახელმწიფოს მართვის სადავეები მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან და ძლიერ სახელმწიფოში (მოგეხსენებათ, დიდი ფულით ყველას და ყველაფრის ყიდვაა შესაძლებელი) – მათ საკუთრებაშია (ან კონტროლის ქვეშ) ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი საბანკო, საკანონმდებლო, სასამართლო, ძალოვანი, კულტურულ-საგანმანათლებლო და, ყველაზე მთავარი – მასების დამუშავება–გაბითურების საშუალებანი: პრესა-ტელევიზია-ელექტრონული მედია. დაახლოებით 300 ოჯახის ხელში თავმოყრილი ამ შესაძლებლობების გამო მათ მსოფლიო ხელისუფლებად ან ღრმა სახელმწიფოდ (Deep State) მოიხსენიებენ.

მაინც რა კონკრეტული ამოცანები აქვთ დასახული ამ ძალებს, მათ ხომ ახლაც თავზე საყრელად აქვთ ფულიც და ძალაუფლებაც, კიდევ რაღა სურთ? **პასუხი დიდი ხანია, ცნობილია – ეს არის სრული(!) ბატონობა მსოფლიოზე, რასაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაემატა კიდევ ერთი, დეპოპულაციის მიღწევა – მსოფლიო მოსახლეობის შემცირება დღევანდელი 7.8 მილიარდიდან ე.წ. „ოქროს“ მილიარდამდე. მათი ეს სურვილი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ დედამიწას, თითქოსდა, აღარ შეეძლოს ყველას გამოკვება. ეს მეორე მიზანი, დეპოპულაცია აშშ-ის ძირითად სტრატეგიულ ამოცანად გამოცხადდა ჯერ კიდევ 1974 წელს – „ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი მემორანდუმი –200“ – NSSM-200 (ბილ გეიტსამდე ბევრად ადრე; იმ დროს ბილი 18-19 წლის ბიჭი იყო)**. მართალია, ექსპერტების დასკვნით დედამიწას ბევრად მეტი ადამიანის გამოკვება ძალუძს, მაგრამ ახლა მთავარია, აუცილებელიცაა(!) იმაში გარკვევა, თუ როგორ აპირებენ ხალხზე „მზრუნველი“ გლობალისტები ზედმეტი მოსახლეობის, დაახლოებით შვიდი მილიარდი ადამიანის იმ ქვეყნად გასტუმრებას.

მათ ნახეს, რომ ლამის განუწყვეტელი ომების, გამუდმებული ეპიდემიების და შიმშილობების მიუხედავად, ადამიანი მაინც ყველაფერს უძლებს და იგი უფრო და უფრო მრავლდება. ამიტომ, გადაწყვიტეს ხელოვნური ჩარევა, ისეთი, რომელიც ეფექტური იქნებოდა და შედეგსაც შედარებით სწრაფად, მაქსიმუმ 2-3 თაობის მანძილზე მიაღწევდა. რა თქმა უნდა, არავინ აკონკრეტებს თუ ვინ, რომელი ხალხები მოხვდებიან შესამცირებელთა, ანუ გადასაშენებელთა სიაში, მაგრამ **ჰენრი კისინჯერმა** (ცნობილმა ამერიკელმა გეოპოლიტიკოსმა, 60-70-იან წლებში პრეზიდენტების მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში და სახელმწიფო მდივანმა) პირდაპირ დაგვისახელა მათი დიდი ნაწილი **1978 წელს: „ამერიკის პოლიტიკა მესამე(!) სამყაროს ქვეყნების მიმართ უნდა იყოს ერთი – დეპოპულაცია“!**

გაერომ ისედაც გვიწინასწარმეტყველა ქართველებს გადაშენება 2050 წლისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი „პარტნიორი“ ამერიკა ამ პროცესის დაჩქარებაშიც „დაგვეხმარება“, როგორც მესამე სამყაროს ქვეყანას (აბა, ჩვენთვის გამონაკლისს ხომ არ გააკეთებს!). გასაწყვეტლები განსაზღვრულია, მაგრამ გადასარჩენთა სიაში ვინღა შევა? ეს რომ ბუნებრივი შერჩევის გზით არ მოხდება, ცხადია, მაგრამ „ოქროს“ მილიარდის შემადგენლობას ვინ, რომელი ჟიური დაადგენს და რა ნიშნით? იმის გათვალისწინებით, რომ გლობალისტების უპირველესი მიზანი მთელ მსოფლიოზე სრული ბატონობაა, ცხადია, „ოქროს“ მილიარდში ყველანი ბატონი და თანასწორი ვერ იქნება (ერთმანეთზე ხომ არ იბატონებენ, პროდუქტიც ხომ უნდა შექმნას ვიღაცამ), ამიტომ **ბატონისა და ყმის შეფარდება აუცილებლად ოპტიმალური უნდა იყოს, დაახლოებით 1:10-ზე, ანუ 100 მილიონი ბატონი და ერთი მილიარდი მომსახურე!** თითქოს, ეს კიდევ უფრო აძნელებს იმის გარკვევას, თუ რომელი ერის შვილები მოხვდებიან ბატონების, ანუ **„ბრილიანტის“ 100 მილიონში**. მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე, სინამდვილეში კი, პასუხი, ჩემი აზრით, ორჯერ ორივით ადვილია: ყველანაირი ლოგიკით უპირატესობა, რა თქმა უნდა, პლანეტის უძველეს, **ღმერთის „რჩეულ ერს“** – ებრაელ ერს უნდა მიენიჭოს. ჰოდა, **თუკი „რჩეულობაზეა“,** ჩვენც გვშველებია და ის არის – **ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მცხოვრები** ქართველები წესით არ უნდა გაგვწირონ, 26-საუკუნოვანი ძმური თანაცხოვრებაც ხომ უნდა ჩაგვეთვალოს აქტივში (ეს ნახევრად ხუმრობით, ცხადია!)! მართალია, ებრაელთა ამ შეხედულებას თავიანთ რჩეულობაზე სხვა, ცივილიზებულად მიჩნეული ერები არ იზიარებენ, მაგრამ, როგორც ისრაელის პირველმა პრემიერ-მინისტრმა **ბენ-გურიონმა** განაცხადა: **„არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას ამბობენ ჩვენზე გოიმები** (ანუ, – არაებრაელები), **მნიშვნელობა აქვს, თუ რას აკეთებენ ებრაელები“**. ამგვარი მიდგომა, ანუ შეხედულება სხვა ერებზე – ეს უძველესი მსოფლმხედველობაა, რომელიც მოკლედ და გასაგებად მეორე ებრაელმა (**გერმანელმა** ამერიკელმა), აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის კონცეფციის შემმუშავებელმა, ბანკირმა **პოლ ვარბურგმა** ასე ჩამოგვიყალიბა არაებრაელებს ჯერ კიდევ **100 წლის** (!) წინათ: **„გსურთ ეს თქვენ თუ არა, მსოფლიოს მმართველობა მომავალში გლობალური ებრაული მთავრობის ხელში იქნება. გასარკვევი მხოლოდ ერთი საკითხია – მოხდება ეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, თუ ძალადობის შედეგად“!**

ამ მიზნის – მსოფლიოს მმართველობის მისაღწევი პრაქტიკული და ძალადობაზე ბევრად უფრო ეფექტური გზა, მეორე ებრაელმა ბანკირმა **დევიდ როკფელერმა** გააცნო გაერთიანებული ერების ბიზნესკონფერენციის მონაწილეებს **1994 წლის** სექტემბერში: „ჩვენ გლობალური გარდაქმნის პირას ვართ. ყველაფერი, **რაც კი ჩვენ გვესაჭიროება – ეს არის სწორად ორგანიზებული მეგა-კრიზისი (!), და ერებისთვის ახალი მსოფლიო წესრიგი მისაღები გახდება“!**

**ბილ გეიტსი** და ძმანი მისნი დღეს ფიქრობენ, რომ ეს ვარბურგის ნაწინასწარმეტყველები „მომავალი“ კარსაა მომდგარი, ოღონდ სრული „ჰარმონიისთვის“ (ბატონ-ყმების რაოდენობას შორის) და ეკოლოგიური სისუფთავის მისაღწევად ერთი „პატარა“ პრობლემა დარჩათ მოსაგვარებელი – **„ნახშირორჟანგით ($CO_2$-ით) გარემოს დაბინძურება“** (ბილ გეიტსი) – 7 მილიარდამდე ადამიანის ისეთნაირად გადაშენება-გაწყვეტა, რომ როცა ამას „გასაწყვეტლები“ მიხვდებიან, უკვე გვიანი იქნება, მათ **გამრავლებას(!)** დიდი წერტილი ექნება დასმული!

# ადამიანი იმდენად საშინელი შეთქმულების პირისპირ დგას, რომ უარს ამბობს, დაიჯეროს მისი არსებობა

**ბილ გეიტსი და ძმანი მისნი დღეს ფიქრობენ, რომ ეს ვარბურგის ნაწინასწარმეტყველები „მომავალი“ კარსაა მომდგარი, ოღონდ სრული „ჰარმონიისთვის“ (ბატონ-ყმების რაოდენობას შორის) და ეკოლოგიური სისუფთავის მისაღწევად ერთი „პატარა“ პრობლემა დარჩათ მოსაგვარებელი – „ნახშირორჟანგით ($CO_2$-ით) გარემოს დაბინძურება“ (ბილ გეიტსი) 7 მილიარდამდე ადამიანის ისეთნაირად გადაშენება-გაწყვეტა, რომ როცა ამას „გასაწყვეტლები“ მიხვდებიან, უკვე გვიანი იქნება, მათ გამრავლებას(!) დიდი წერტილი ექნება დასმული!**




## 2. დაგეგმილი დეპოპულაცია

**„შორს არ არის ის დღე, როცა ყველა მიწიერი სიმდიდრე ისრაელის შვილების საკუთრებაში გადავა“!**

**ადოლფ კრემიე,**
**საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი, 160(!) წლის წინათ ნათქვამი მსოფლიოს ებრაელთა კავშირის საზეიმო ყრილობაზე.**

როგორც ვთქვით, დეპოპულაციისთვის საჭირო მასშტაბების მისაღწევად, ანუ მილიარდობით ადამიანის საიქიოს გასასტუმრებლად, მხოლოდ ომები და ავთვისებიანი დაავადებების გახშირება, და არც პანდემიები, საკმარისი არ არის – საბოლოო ჯამში, ბუნებრივ შერჩევას მივიღებთ. მით უფრო, არ მოხერხდება მისი განხორციელება ერთი ხელის მოსმით, სიჩქარე დიდი საფრთხის წინაშე დააყენებს დეპოპულაციის აქტიურ მოთავეებს, ბევრი რამ გამჟღავნდება და ისინი ხალხის მღელვარებას გადაყვებიან უთუოდ. მათ კარგად ესმით, რომ აუცილებელია ისეთი საშუალება, ისეთი რამ, რომელზეც დიდი მოთხოვნილება გაჩნდება მსოფლიოში და, მისი დეპოპულაციური ეფექტი ნაკლებ თვალში საცემი იქნება. ასეთი „უნივერსალური“ საშუალება ორია – მიზანმიმართულად(!) შექმნილი **ვაქცინა და გმო-პროდუქტი!** ახალ-ახალი დაავადება-გართულებების გაჩენასთან ერთად მათი მთავარი მოქმედება ადამიანის **სტერილიზაციაში** (უნაყოფობაში) და ჰომოსექსუალური მიდრეკილებების გამომწვევ **ჰორმონალურ**

# „კორონა“: ტესტები, პირბადეები, ვაქცინა და ზოგი რამ სხვაც...



**ძვრებში** გამოიხატება (გენების დონეზე)! **პოპულაციის ჯერადობით შემცირება მხოლოდ გამრავლების (შობადობის) შესაბამისი შემცირებით თუ მოხერხდება მხოლოდ.**

დეპოპულაცია პანდემიებით არაფრით რომ არ მიიღწევა, ეს ამჟამად „მძვინვარე“ კოვიდ-19-ის მაგალითზეც ჩანს. რვა თვის მანძილზე მთელ მსოფლიოში – 7.8 მილიარდიდან ამ დაავადებით გარდაცვლილია **ერთ მილიონზე ოდნავ მეტი** ასაკოვანი (ძირითადად) – სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანი, დაახლოებით, 10 000-დან – ერთი (0.013%), და მათი გარდაცვალების მიზეზიც, უხშირესად, კორონავირუსი არ არის (დაწვრილებით, – მომდევნო თავში). ერთი მილიონი კი, თუნდაც კორონავირუსისგან გარდაცვლილი, ბევრს არაფერს აძლევს დეპოპულაციის მსურველებს, რადგანაც მსოფლიოში 70 (!) მილიონამდე ადამიანი იღუპება ყოველწლიურად!

**სამაგიეროდ, ისე დაითესა შიში მსოფლიოში, ისე გამოცხადდა პანდემია (მაშინ, როცა ეპიდემიაც არ ჰქონდათ სახელმწიფოებს გამოცხადებული!), ისე ჩაიკეტა საზღვრები, ისე გააჩერეს საწარმოები, ისე დატოვეს უსამსახუროდ და გამოამწყვდიეს სახლებში ადამიანები, ისე აუკრეს ცხვირპირი პირბადეებით დიდიან-პატარიანად ყველას, ისე გამოაწყვეს კოსმონავტების სადარ სკაფანდრებში საექიმო პერსონალი, ისე აუკრძალეს ჭირისუფალს კუბოსთვის თავის ახდა, ისეთი უწყვეტი დაშინების პროპაგანდა გააჩაღეს მედიასაშუალებებით და ისე გვაშინებენ კორონავირუსის კიდევ უფრო უარესი „მეორე ტალღით“ და, იმავდროულად, ისე დამაჯერებლად გვაიმედებენ (ჯანმო და ვაქცინების მწარმოებელი სახელმწიფოები) კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინის დღე-დღეზე (წლის ბოლომდე) გამოშვებით, რომ მიამიტი და ყველაფრის დამჯერი ადამიანები, ალბათ, ერთმანეთს დაასწრებენ ასაცრელთა რიგებში ჩადგომას.**

20 წლის წინათ, როცა ინტერნეტის არქონის გამო გლობალისტების გლობალურ ჩანაფიქრში ნაკლებად ჩახედული ვიყავი, როცა **სოროსიც** კეთილი, ახალგაზრდობაზე და დემოკრატიაზე მზრუნველი ფილანტროპი მეგონა, მეც აცრების (ყველანაირის) მომხრე ვიყავი, მაგრამ დღეს, როდესაც ვაქცინების შემადგენლობის შესახებაც საკმარისზე მეტი ინფორმაცია გამაჩნია და, თავად ბილ გეიტსის (სხვებისაც) გამოსვლები მაქვს წაკითხული და ნანახ-მოსმენილიც, ალბათ, ჭკუასუსტი უნდა ვიყო, რომ ბრმად ვენდო მას და მისნაირებს. **ბილ გეიტსის** ორიოდე გამონათქვამს მოვიშველიებ მხოლოდ. 10 წლის წინანდელს: **„თუ ჩვენ ძალიან მოვინდომებთ და ახალ(!) ვაქცინებზე, რეპროდუქციულ(!) ჯანმრთელობის სფეროზე ვიმუშავებთ, მოსახლეობას 10-15%-ით შევამცირებთ“!** ეს კაცი, არაფერს არ გვიმალავს, პირდაპირ გვეუბნება: ვაქცინაციით დაავადებებისგან კი არ დავიცავთ მოსახლეობას, პირიქით, რეპროდუქციულ სფეროზე ზემოქმედების გზით, ანუ შობადობაზე „მუშაობით“ – შევამცირებთო! ბევრ ჩვენგანს კი ბილ გეიტსი მსოფლიოში ყველაზე დიდი ქველმოქმედი ჰგონია დღესაც! ახლა მისი შარშანდელი კიდევ უფრო „უკეთესი“ განაცხადი ვნახოთ: **„ვაქცინაცია ოთხჯერ(!) შეამცირებს მოსახლეობას“!** არ იფიქროთ, რომ „მაიკროსოფტის“ ყოფილ მფლობელს რამე ეშლება ანგარიშში, რა თქმა უნდა, – არა, უბრალოდ, 9 წელიწადში წინ წავიდა მეცნიერება და დეპოპულაციის გამომწვევი ვაქცინების ტექნოლოგიაც საგრძნობლად დაიხვეწა!



ენტონი ფაუჩი

ჰოდა, ამის შემდეგ, ანუ როცა თვით **ბილ გეიტსი** დაუფარავად ამბობს (არა CNN-ით გამოსვლისას, ცხადია!), რის მიღწევას აპირებს იგი ვაქცინაციით და, მოსახლეობის უმრავლესობა მაინც გეიტსის დაპირებული ვაქცინის მოლოდინში თანახმა ვართ, პირბადეებით პირაკრულებმა ვიაროთ ყველგან – მაღაზიებში, ტრანსპორტში და ქუჩაშიც კი(!), მაშინ, უკანასკნელი 34 წლის მანძილზე (1986 წლიდან) გამოშვებული ვაქცინებით გამოწვეულ გართულებებს თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, რომ რაღაც ნაწილს უშუალოდ ვაქცინაციის შემდეგ მოუწიოს პირის აკვრა (უკვე სამუდამოდ!), ძირითად მასას კი – თვეების და წლების შემდეგაც! სამწუხაროდ, ისინი, ვინც ერზე უნდა ფიქრობდეს გამუდმებით (ხელისუფლება), და ისინიც, ვინც ადამიანის ჯანმრთელობას უნდა უფრთხილდებოდეს, ანუ სამედიცინო საზოგადოება, **თითქმის არავინ (ერთეულები, სამწუხაროდ, ამინდს ვერ ქმნიან) არ რეაგირებს ბილ გეიტსის და, ზოგადად, გლობალისტების მიერ საჯაროდ გაცხადებულ დანაშაულებრივ ჩანაფიქრზე** – პლანეტის მოსახლეობის შემცირებაზე, ანუ მის გაწყვეტაზე ვაქცინაციის გზით! **უბედურებაა, როცა პოლიტიკოსები დასავლეთიდან მიღებულ ნებისმიერ დირექტივას უსიტყვოდ ასრულებენ, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, როდესაც ჰიპოკრატეს ფიცდადებული ექიმები იმეორებენ იგივეს!**

კორონაპანდემიის **ინფოდემიის** გზით (ანუ ყალბი ინფორმაციის მასობრივად გავრცელებით) გაბუქვის შემოქმედ-მხარდამჭერნი, ხალხის დამშინებლები და უმეტესწილად აბსურდული შეზღუდვა-კარანტინების შემომღებნი – ხელისუფლებასთან და ფარმინდუსტრიასთან მჭიდროდ დაკავშირებული სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები (მთელ მსოფლიოში, ცხადია, და არა მხოლოდ ჩვენთან), რომლებსაც ძალიან უჭირთ კორონავირუსთან გაჩენილ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა იმათთვის, ვინც უნდობლად ეკიდება ოფიციალურ ინფორმაციას, ცდილობენ სხვა გზით გავიდნენ ფონს – ისეთი რამ დააბრალონ სკეპტიკოსებს, რაც მათ არ უთქვამთ, და უვიცებადაც ცდილობენ მათ წარმოჩენას – კერძოდ, თითქოს, ისინი ვირუსის არსებობასაც კი უარყოფენ და, შესაბამისად, არც კოვიდ 19-ისა სჯერათ. და, პროპაგანდის მეთოდოლოგიაში არსებულ ამ გაცვეთილ ხერხზე აგებენ თავიანთ პასუხსაც: როგორ, ჩვენ ვტყუით, და ეს ამდენი ავადმყოფი ჩვენი მოგონილია, განა ვერ ხედავთ, რა ხდება მთელ მსოფლიოში?!

**როგორც იტყვიან ხოლმე: ყველაფერი შეიძლება დააბრალო ამ, სკეპტიკოსებად მონათლულ ხალხს, მაგრამ არა ვირუსების არსებობაში ეჭვის შეტანა, რადგანაც სწორედ ამ ადამიანებმა გაამჟღავნეს მისი შექმნის ადგილი, დროც და მიზანიც. ამერიკაში, სამხედრო ლაბორატორიაში შეიქმნა ვირუსი, როგორც ბიოიარაღი, თუ – ჩინეთში, იუჰანის ლაბორატორიაში, თუ ბუნებრივად გაჩნდა ეს ვირუსი, ამას, თითქოს, არც უნდა ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედაც რომ ამას ჰქონია უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ არანორმალური საერთო ვითარებისთვის, რაც აგერ უკვე 10 თვეა, დასადგურებულია ჩვენს პლანეტაზე.**

2003 წლის 25 აპრილს **ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა (CDC) დააპატენტა** SARS-კორონავირუსი, რომელიც ადამიანებს გადაეცემა. ამერიკის ფედერალური №35 კანონის თანახმად (ნაწილი – 101) ბუნება არ შეიძლება დაპატენტებულ იქნას. ანუ, თუ SARS-კორონავირუსი გამოიგონეს, მაშინ პატენტი კანონიერია, ხოლო თუ იგი ბუნებრივი წარმოშობისაა (როგორც ზოგიერთები „ამტკიცებენ“), მაშინ მასზე გაცემული პატენტი უკანონოა. მაგრამ, მეორე მხრივ, – **თუ კორონავირუსი ხელოვნურად არის შექმნილი, ეს უკვე ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის თაობაზე არსებული კანონების და საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნებრივია თუ ხელოვნური, ორივე შემთხვევაში მასზე გაცემული პატენტი უკანონოა.** ალბათ, ბევრი გაიფიქრებს: რა ასეთი მნიშვნელობა აქვს პატენტის კანონიერებას, იშვიათად დაურღვევიათ ეს და სხვა კანონებიც, თუ რაო. საქმეც ის არის, რომ დაპატენტებას, თურმე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ამ პატენტს **2007 წელს დაემატა პატენტები** ვირუსის აღმოჩენაზე და მის სადიაგნოსტიკო ტესტებზე, რისი წყალობითაც **დაავადებათა კონტროლის ცენტრი აკონტროლებს ყველას, – თუ ვის შეუძლია და ვის არ შეუძლია ვირუსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი კვლევების წარმოება. „თქვენ არ შეგიძლიათ ვირუსის ნახვა, თქვენ არ შეგიძლიათ მისი დიაგნოსტირება, თქვენ არ შეგიძლიათ მისთვის საჭირო ტესტების (!) კომპლექტის (ნაკრების) გამოშვება“,** – ამბობს **დევიდ მარტინი,** ლინგვისტური გენომიკის შემმუშავებელი, IQ 100 Index-ის დამფუძნებელი, ეროვნული დაზვერვის ანალიტიკოსი. ვირუსთან დაკავშირებული სხვადასხვა პატენტების პროცესების ეპიცენტრში დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ერთად იყვნენ მთავარი ინფექციონისტი **ენტონი ფაუჩი** და მიკრობიოლოგ-იმუნოლოგი **რალფ ბარიკი** – ჩრდილო კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორი და სხვები. ჰოდა, გაკეთდნენ კიდეც, როცა ჯანმომ თავისი „რეკომენდაციებით“ ლამის სავალდებულო გახადა PCR (პი-სი-არ, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია) ტესტირება ყველა სახელმწიფოში, რაც, ცხადია, მილიარდობით დოლარს მოუტანს პატენტების მფლობელებს. აი, რამდენი რამ ყოფილა უკანონო პატენტის უკან დაფარული (ტესტებზეც მომდევნო თავში მოგახსენებთ დაწვრილებით).

**თუ კორონავირუსი ხელოვნურად არის შექმნილი, ეს უკვე ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის თაობაზე არსებული კანონების და საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნებრივია თუ ხელოვნური, ორივე შემთხვევაში მასზე გაცემული პატენტი უკანონოა.**



ჯონ ჰოლდრენი

2012-2013 წლებში სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდათ ჰარვარდის, ემორის და ჩრდილო კაროლინას უნივერსიტეტებს, და კორონავირუსზე მუშაობა რაღაც მიზეზით შეწყდა. მაგრამ, კვლევები არ შეჩერებულა, იგი უცხოეთში, კერძოდ, **იუჰანის** ვირუსოლოგიის ინსტიტუტში გადადის. ოღონდ, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ამ ინსტიტუტის დაფინანსება არაპირდაპირ ხდება – ფული ამერიკულ კომპანიას გამოეყოფა (სხვადასხვა დახურული ორგანიზაციების მეშვეობით), რომელიც, თავის მხრივ, საიჯარო ხელშეკრულებას დებს იუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან, და იგიც ასრულებს შეკვეთილ სამუშაოს. ყველაფერი ძალიან მარტივად და უბრალო სქემით ხორციელდება, თანაც, – „კანონების“ დაცვით! ასე რომ, კორონავირუსთან დაკავშირებით ამერიკას შეუძლია თქვას, რომ ყველაფერი ჩინეთმა გააკეთა, და ჩინეთსაც შეუძლია იგივე გაიმეოროს ამერიკაზე, და მას გადააბრალოს ყველაფერი. თქვენ წარმოიდგინეთ, არსებული სამართლებრივი ნორმებით, ორივენი, თითქმის, სიმართლეს იტყვიან, და ამბობენ კიდეც! ამასთან დაკავშირებით ამერიკაში გაჩნდა სტატია, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ **აშშ სპეციალურად აფინანსებდა კორონავირუსის კვლევებს იუჰანში (ჩინეთი), რათა შემდეგ ყველაფერი ჩინეთისთვის გადაებრალებინა. სხვა სტატიის სათაური კი ასეთია: „ბარაკ ობამამ და აშშ-ის მთავარმა ინფექციონისტმა ფაუჩიმ ბიოშეტევა განახორციელეს ამერიკაზე“!**

ჩვენდა საუბედუროდ, როგორც უკვე ვთქვი, ყველანი, ვისაც სამსახურეობრივად ევალება მოსახლეობისთვის მართალი ინფორმაციის მიწოდება, გვერდს უვლის მთავარ საკითხებს. მაგრამ, საბედნიეროდ, მსოფლიოში საკმარისადაა პატიოსანი მეცნიერი, ექსპერტი და ჰიპოკრატეს ფიცის მიმდევარი ექიმი, რომლებსაც თავიანთი მწირი საინფორმაციო საშუალებებით, მაგრამ ფართოდ გავრცელებული და ხელმისაწვდომი ინტერნეტის წყალობით **(სხვა გზები მათთვის გადაკეტილია „მეინსტრიმმედიას“ მფლობელების მიერ!)** მართალი სიტყვა, პოლიტიკას ეხება იგი თუ მედიცინას, მაინც მიაქვთ მსოფლიო ხალხების თითოეულ დაინტერესებულ ინტერნეტ-მომხმარებლამდე!

ახლა, რიგ-რიგობით განვიხილოთ ყველასთვის საინტერესო საკითხები: რა არის დანამდვილებით ცნობილი და რას ამბობენ ექსპერტები კორონავირუსის შესახებ, როგორ დგინდება კოვიდ-19-ის დიაგნოზი, როგორია დაავადებიანობის და სიკვდილიანობის მაჩვენებელი, მისი გავრცელების საწინააღმდეგო და პერსონალური თავის დასაცავი ზომები, დაპირებული ვაქცინაცია და კიდევ სხვა.

იმდენად კაცთმოძულე და სატანისტურია **გლობალისტების ჩანაფიქრი,** რომ ნორმალური ადამიანებისთვის ის აბსოლუტურად დაუჯერებელია! ამიტომაც, როდესაც სიტყვა ე.წ. შეთქმულების თეორიაზე ჩამოვარდებოდა, იგი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდა ყველას, ანუ მოსახლეობის, ყველა ხალხის უდიდეს ნაწილს. ასე იყო გასულ საუკუნეში და, მიუხედავად გლობალისტების მამხილებელი ზღვა ინფორმაციისა, თითქმის ასევეა ახლაც. წესიერ ადამიანს აბსურდულად ეჩვენება არათუ თეორია, არამედ უკვე გამჟღავნებული ფაქტიც იმის შესახებ, რომ დიდი ფულის და განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე ე.წ. ელიტას მართლა გადაწყვეტილი აქვს ნებისმიერი გზით მსოფლიო მოსახლეობის ჯერადობით შემცირება, ანუ პირდაპირ თუ ვიტყვით, მილიარდობით ადამიანის მოკვდინება, მთელი ერების გადაშენება შობადობაზე კონტროლის დაწესების და, უმთავრესად, მასობრივი სტერილიზაციის გზით! რატომ მაინცდამაინც სტერილიზაციის გზით? იმიტომ, რომ ეს ადვილია, თანაც, „ქალების სტერილიზაცია უფრო ადვილია, ვიდრე კაცების“, – წერდა ჯერ კიდევ 1977 წელს გამოცემულ წიგნში – **„ეკომეცნიერება: პოპულაცია, რესურსები, გარემო“,** მისი ერთ-ერთი თანაავტორი, დეპოპულაციის აქტიური მომხრე, ამერიკელი მეცნიერი **ჯონ ჰოლდრენი** (მოგვიანებით, **პრეზიდენტ ობამას** მრჩეველი) და, **უშვილობის კაფსულის ჩაკერების რეკომენდაციას** იძლეოდა, რომლის ამოღებაც მხოლოდ ოფიციალური ნებართვით იქნებოდა შესაძლებელი. იგი მასობრივად გავრცელებულ **სასმელებში სტერილიზაციის გამომწვევი მედიკამენტების დამატების წინადადებასაც** აყენებდა, ხოლო „ჭარბი მოსახლეობის პრობლემა 2 000 წლისთვის უნდა გადაწყდეს **ნებისმიერ ფასადო“!** ძნელია დარწმუნებით იმის თქმა, დამატებულია თუ არა ამგვარი მედიკამენტები ისეთ გავრცელებულ სასმელებში, როგორებიცაა: კოკა-კოლა, პეპსი-კოლა, სპრაიტი, ფანტა... ან სხვა სასმელ-საჭმელში, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მკვეთრად იმატა უშვილობამ ყველგან, – მარტო პატარა, 7-მილიონიან ბულგარეთში 200 000 ახალგაზრდა ქალი უჩივის მას (საგანგაშო მაჩვენებელია ასევე სხვა ევროპულ ქვეყნებშიც)! გლობალისტებმა კურსი, ძირითადად, მაინც უფრო უტყუარ, ნაკლებად თვალში საცემ და მოსახლეობის ფართოდ მოცვის შესაძლებლობის მქონე გზაზე, ვაქცინაციაზე აიღეს 40-50 წლის წინათ, რომელსაც ეფექტურობის თვალსაზრისით ვერ შეედრება ვერც ერთი ზემოთ ნახსენები მეთოდი, ერთად აღებულიც კი.



**იაკობ ლეჟავა,**
(ტელ: 593-55-04-00)

(გაგრძელება იქნება)

# „მან იცის, როგორ მოძებნოს ხალხთან საერთო ენა...“


© Angela Wei

**აშშ-ის ახალი პრეზიდენტი დემოკრატიული პარტიის 77 წლის წარმომადგენელი ჯო ბაიდენი ხდება.**

**ბაიდენი, რომელიც 35-ზე მეტი წლის განმავლობაში სენატორი გახლდათ დელავერის შტატიდან და აშშ-ის 44-ე პრეზიდენტ ბარაქ ობამას ადმინისტრაციაში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა, დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და გამოცდილ წარმომადგენლად ითვლება. ინაუგურაციის მომენტისთვის – 2021 წლის 20 იანვრისთვის იგი 78 წლის იქნება და ამგვარად, აშშ-ის მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ასაკოვანი პრეზიდენტი გახდება.**

## კორონავირუსთან ბრძოლა ბაიდენის პრიორიტეტებს შორისაა

**პანდემიის დაწყების მომენტიდან ჯო ბაიდენს არაერთგზის მიუმართავს მოსახლეობისთვის და ხშირად გამოუნახავს დრო გარდაცვლილთა ახლობლებისთვის მისასამძიმრებლად.**

ამ თემაზე ბაიდენის გამონათქვამები მკვეთრ კონტრასტშია მოქმედი პრეზიდენტის – დონალდ ტრამპის მოსაზრებებთან. ტრამპმა კორონავირუსი თავად გადაიტანა და თეთრ სახლში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ეს დაავადება საშიში არ არის.

თავის მხრივ, ჯო ბაიდენი ამერიკელებს მოუწოდებს სერიოზულად მიუდგნენ ინფიცირების რისკს. ბაიდენმა პირობა დადო, რომ თეთრ სახლში გადასვლიდან პირველივე დღეს წარმოადგენს პანდემიასთან ბრძოლის გეგმას, რომელიც, მათ შორის, ფედერალურ სანიღბე რეჟიმს მოიცავს.

## მეუღლისა და ქალიშვილის გარდაცვალება

**ჯო ბაიდენს პირადად აქვს გამოცდილი, რას ნიშნავს უახლოესი ადამიანების დაკარგვა. ოჯახური ტრაგედიების გამო იგი ორჯერ კინაღამ დაემშვიდობა პოლიტიკურ კარიერას.**

პირველად ეს 1972 წელს მოხდა. ბაიდენი – სირაკუზის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, 29 წლის იყო, როდესაც გამოცდილ რესპუბლიკელს – ჯეიმს ქალებ ბოგგს შეებრძოლა დელავერის შტატიდან სენატორის თანამდებობისთვის. საკმაოდ მწირი წინასაარჩევნო ბიუჯეტის მიუხედავად, მან არჩევნებში გაიმარჯვა. თუმცა სულ რამდენიმე კვირაში მოხდა ტრაგედია, რომელმაც ახალგაზრდა პოლიტიკოსის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა: ავტოკატასტროფაში ბაიდენის მეუღლე ნელია და მათი 1 წლის ქალიშვილი ნაომი დაიღუპნენ, ვაჟები – ბო და ჰანტერი კი სერიოზულად დაშავდნენ.

## 30 წლის სენატორი

**თავიდან ბაიდენმა სენატორის სავარძელზე უარის თქმა გადაწყვიტა, თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილება შეაცვლევინეს. სენატორის ფიცი მან იმ საავადმყოფოში დადო, სადაც მისი ვაჟები მკურნალობდნენ.**

ახალგაზრდა სენატორმა ყოველდღე დელავერიდან ვაშინგტონამდე მატარებლით დაიწყო მგზავრობა და უკანაც მატარებლით ბრუნდებოდა.

მისი და – ვალერი ძმისშვილებზე საზრუნავად მათთან გადავიდა საცხოვრებლად და ძმის სახლში 1977 წლამდე ცხოვრობდა, სანამ ჯო ბაიდენმა მეორე ცოლი – ამჟამინდელი მეუღლე ჯილ ჯეიკობსი არ შეირთო. მალევე მათ ქალიშვილი ეშლი შეეძინათ.

თუმცა ტრაგედიები ბაიდენს მომავალშიც ელოდა. 2015 წელს, როდესაც მას ობამას ადმინისტრაციაში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა და მასთან ერთად მუშაობდა კანონპროექტზე, რომელსაც დაბალი შემოსავლის მქონე მილიონობით ამერიკელისთვის სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა უნდა უზრუნველეყო, ბაიდენის უფროსი ვაჟი – ბო თავის ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა. ჯო ბაიდენმა, რომელიც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობას, წინასაარჩევნო ბრძოლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

## „ზანტი ჯოს“ დრო, როგორც იქნა, დადგა

**მიუხედავად ამისა, სულ ოთხიოდე წელიწადში ჯო ბაიდენი აშშ-ის პრეზიდენტი ხდება.**

ის ფაქტი, რომ დემოკრატებმა ფსონი არა ახალგაზრდებზე, არამედ გამოცდილ პოლიტიკოსზე დადეს, გასაკვირი არ უნდა იყოს, – ამბობს მისურის უნივერსიტეტის პროფესორი მიტჩელ მაკკინი. იგი ბაიდენს საღად მოაზროვნე, მიზანმიმართულ, ალღოიან და თანაგრძნობის მაღალი უნარის მქონე პოლიტიკოსად აფასებს – „სრულ ანტიპოდად ტრამპისა, რომელიც მას „ზანტ ჯოდ“ მოიხსენიებდა“.

ბაიდენი ცნობილია იმით, რომ კოლეგებთან ადვილად პოულობს საერთო ენას – მაშინაც კი, როცა მათი ხედვები არ ემთხვევა. „იგი დიდხანს მუშაობდა კონგრესში და იცის, როგორ იპოვოს ყველასთან საერთო ენა“, – ამბობს ტექსასის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი ბრიუს ბიუკენენი.

## მიზანი - ამერიკის გაერთიანება

**ჯო ბაიდენს დაგეგმილი აქვს, „წინააღმდეგობებით გახლეჩილი ამერიკა გააერთიანოს“. „თუ პრეზიდენტობას მომანდობთ, ხელს შევუწყობ ჩვენში მხოლოდ კარგის და არა ცუდის აღმოჩენას, ვიქნები სინათლის და არა სიბნელის მოკავშირე“, – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა 20 აგვისტოს, როდესაც დემოკრატიული პარტიის კანდიდატის ნომინაციას იღებდა. „დადგა დრო, ყველანი გავერთიანდეთ“, – აღნიშნა პოლიტიკოსმა და პირობა დადო, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდა მათთვისაც, ვინც მის წინააღმდეგ მისცემდა ხმას.**

ამასთან, ბაიდენი ამომრჩეველს მილიონობით სამუშაო ადგილის შექმნას დაჰპირდა და დააზუსტა, რომ აუცილებელი ინვესტიციები გაჩნდება, თუ ქვეყანა უარს იტყვის შეძლებულთათვის გადასახადების, დონალდ ტრამპის მიერ დაწესებულ შემცირებაზე. აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ასევე გეგმავს, კლიმატის საკითხებს დაუთმოს განსაკუთრებული ყურადღება. მაშინ, როცა ტრამპს არაერთხელ გამოუთქვამს ეჭვი იმაში, რომ გლობალური დათბობა ადამიანის საქმიანობას უკავშირდება, ბაიდენი გეგმავს, 2050 წლისთვის აშშ-ის სრულად განახლებად ენერგიაზე გადასვლას მიაღწიოს.

## როგორი იქნება ბაიდენის პოლიტიკა რუსეთის მიმართ?

**ბაიდენის საგარეო პოლიტიკური ხედვები ასევე კარგადაა ცნობილი. მისი მთავარი დაპირებაა, „მსოფლიო არენაზე აშშ-ის ღირსეული ლიდერობა აღადგინოს“. მარშალის ფონდის ექსპერტი ბრუნო ლეტე აღნიშნავს, რომ ბაიდენისთვის ფასეულობითი ასპექტი ცოტა უფრო ღირებულია, ვიდრე ტრამპისთვის, რომელიც, მაგალითად, ნატო-ს ფარგლებში თანამშრომლობას პრიზმიდან „შენ - მე, მე – შენ“ განიხილავდა.**

ლეტე იხსენებს, რომ ბაიდენმა აშშ-რუსეთის ურთიერთობების კუთხით მრავალი იმედგაცრუება გადაიტანა. ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი ქლინთონმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან ერთად 2009 წელს „გადატვირთვის“ ღილაკს დააჭირა ხელი, რაც მოსკოვთან ურთიერთობებში ახალი ეტაპის დაწყების ნიშანი უნდა ყოფილიყო. **„და ბაიდენი ხედავდა, რაოდენ დიდი კრახით დასრულდა მოსკოვისთვის მეგობრობის ხელის გაწოდება“,** – განმარტავს ექსპერტი. ჰანს ზაიდელის სახელობის ფონდის ვაშინგტონის განყოფილების ხელმძღვანელი კრისტიან ფორსტნერი თვლის, რომ პრეზიდენტ ბაიდენის მმართველობის პირობებში რუსეთის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკა არ შეიცვლება. **„მოსკოვის მიმართ ნდობა ამჟამად ამერიკაში უკიდურესად დაბალია. კონგრესსაც, სენატსაც, დემოკრატებსაც და რესპუბლიკელებსაც რუსეთის მიმართ კურსის გამკაცრება სურთ. ეს უკავშირდება უკრაინას, საქართველოს და სხვა მიზეზებს“,** – განმარტავს ექსპერტი. – ამდენად, ბაიდენს ხელი ექნება შეკრული, რომც მოინდომოს რამის შეცვლა“, ასკვნის ფორსტნერი.

## ბრალდებები კორუფციაში და ჯანმრთელობის შესაძლო პრობლემებზე მითითება

**უკრაინას ბაიდენისთვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ობამას ადმინისტრაციაში იგი კიევთან ურთიერთობებს კურირებდა. მეორეს მხრივ, ამის გამო ბაიდენი კორუფციული სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა. 2014 წელს მისი ვაჟი ჰანტერი გაზის მომპოვებელი უკრაინული კომპანია Burisma-ს სამეთვალყურეო საბჭოში შევიდა.**

უმცროსი ბაიდენის გადაწყვეტილებამ, რომელიც მანამდე არასოდეს ყოფილა დაკავშირებული გაზის ბიზნესთან და Burisma-ში მაღალ ხელფასს (მედიის მონაცემებით, თვეში 50 ათას დოლარამდე) იღებდა, აშშ-ში კრიტიკა გამოიწვია ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის გამო. უფროს ბაიდენს კერძოდ, უკრაინის ხელისუფლებაზე ზეწოლაში ადანაშაულებდნენ იმ მიზნით, რომ თანამდებობიდან გადაეყენებინათ იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ვიქტორ შოკინი, რომელიც მაშინ Burisma-ს წინააღმდეგ გამოძიებას ედგა სათავეში. თუმცა თავად ჯოზეფ ბაიდენი ყველა ამ ბრალდებას უარყოფს.

23 სექტემბერს რესპუბლიკელმა სენატორებმა რონ ჯონსონმა და ჩაკ გრესლიმ გამოაქვეყნეს მოხსენება ჰანტერ ბაიდენის საეჭვო გარიგებების თაობაზე. დოკუმენტი აღწერს მრავალმილიონიან ფულად გადარიცხვებს, რომელიც უმცროსი ბაიდენის უკრაინაში, კომპანია Burisma-ში მუშაობას უკავშირდება. გარდა ამისა, მოხსენების თანახმად, იგი დიდძალ თანხებს იღებდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან დაკავშირებული პირებისა და მოსკოვის ყოფილი მერის – იური ლუჟკოვის მეუღლის ელენა ბატურინასგან.

ჯო ბაიდენის კრიტიკოსები ასევე არ იღლებიან მის ასაკზე და ჯანმრთელობის კუთხით შესაძლო პრობლემებზე მითითებით. მას შემდეგ, რაც 2020 წლის მარტში ლოს-ანჯელესში ამომრჩევლებთან შეხვედრისას ბაიდენი მათ თავის დას – ვალერის აცნობდა, თუმცა ხელით გვერდზე მდგომ მეუღლეზე მიუთითა, ამ კუთხით კრიტიკოსთა შფოთვა კიდევ უფრო გამწვავდა. მსგავსი ინციდენტები მოწინააღმდეგეებს ათასგვარი სპეკულაციების საბაბს აძლევთ იმაზე სასაუბროდ, რომ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ასაკობრივი დემენცია აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მისთვის მსგავსი დიაგნოზი არავის არასოდეს დაუსვამს.

## ამერიკელი ხალხი სამართლიან არჩევნებს იმსახურებს

**აშშ-ის პირველმა ლედიმ, მელანია ტრამპმა არჩევნებთან დაკავშირებით პირველი საჯარო განცხადება გააკეთა.**



როგორც მელანია ტრამპი, მიკრობლოგ „ტვიტერში“ წერს: **„ამერიკელი ხალხი სამართლიან არჩევნებს იმსახურებს. თითოეული კანონიერი და არა უკანონო ხმა უნდა დაითვალოს. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი დემოკრატია სრული გამჭვირვალობით“,** – წერს პირველი ლედი. სი-ენ-ენმა ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით დაწერა, რომ პირველმა ლედიმ პრეზიდენტს არჩევნებში დამარცხების აღიარებისკენ მოუწოდა.

**აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების აღიარებისკენ დონალდ ტრამპს სიძემ და მრჩეველმა, ჯარედ კუშნერმა მოუწოდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას „ ორ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებენ. თუმცა უცნობია, რა რეაგირება მოჰყვა პრეზიდენტის მხრიდან ამ წინადადებას.



# როგორ დავიცვათ ჩვენი შვილები ლამაზი სასიკვდილო მცენარისგან

**ერითროციტების** აგლუტინაციის უნარის მქონე მცენარეული წარმოშობის ცილა ლექტინი ტარტუს უნივერსიტეტის დოქტორანტის პეტრე ჰერმან სტილმარკის მიერ 1888 წელს გამოყოფილი იქნა მცენარე **აბუსალათინის** (Ricinus communis) **თესლებიდან)** და მას **რიცინი** უწოდა. რიცინი, როგორც ძლიერი ტოქსიკური ნივთიერება ფართოდ გამოიყენებოდა ტერორისტული აქტების მოსაწყობად. ეს მცენარე გავრცელდა საქართველოშიც. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ რიცინის მწარმოებელთა და გამავრცელებელთა შორის მოხსენიებული იყო საქართველოც, კერძოდ, პანკისი.

**აბუსალათინი,** როგორც დეკორატიულად ლამაზი ყვავილების მქონე მცენარე, ფართოდაა გავრცელებული საქართველოს პარკებში, სკვერებსა და განსაკუთრებით სასაფლაოებზე.

ლიტერატურაში აღწერილია ტერორიზმის მიზნით ადამიანთა რიცინით მოწამვლის მრავალი შემთხვევა; მაგალითად, **1978** წელს ბულგარელი დისიდენტი BBC-ის ჟურნალისტი **გიორგი მარკოვი** ლონდონში, ვატერლოოს ხიდზე რიცინით დამუშავებული ქოლგის წვერის ჩხვლეტით მოკლეს. ეს ფაქტი ცნობილია, როგორც **„ქოლგით მკვლელობა“**. მსგავსი მოქმედებით, იმავე წელს, პარიზში მოწამლული იქნა **ვლადიმერ კოზლოვი**. მართალია, ის სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

**1991** წელს ამერიკაში ერთ-ერთი მარშლის მკვლელობის მცდელობაც იყო დადასტურებული. ტერორისტმა **დიმეთილსულფოქსიდში** გახსნილი რიცინით დაამუშავა მარშლის ავტომანქანის კარის სახელური, თუმცა განზრახვა ვერ განახორციელა, ტერორისტი შეიპყრეს და დააპატიმრეს.

**1995** წელს დააკავეს ალასკიდან კანადაში მიმავალი მოქალაქე, რომელსაც ჩანთაში თეთრი ფხვნილის სახით რიცინი აღმოაჩნდა. **1997** წელს ერთ-ერთმა მამაკაცმა რიცინით დამუშავებული ლითონის საგნით ძლიერი ტრავმა მიაყენა თავის გერს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. **2002** წელს ბრიტანეთის პოლიციამ მანჩესტერში დააკავა ტერორისტები. ჩხრეკისას მათ ბინაში აღმოაჩენეს ლაბორატორია, რომელშიც რიცინის პრეპარატს ამზადებდნენ. **2003** წელს ბრიტანეთის პოლიციამ ერთ-ერთი რეიდის დროს დააკავა ჩეჩენი ტერორისტი, რომელსაც აღმოუჩინეს რიცინი. მათ აღიარეს, რომ გამიზნული ჰქონდათ რუსეთის საელჩოზე თავდასხმა. **2003-2004** წლებში ტერორისტული მიზნების განსახორციელებლად გეგმავდნენ რიცინის გამოყენებას თეთრ სახლშიც, სამხრეთ კაროლინას საფოსტო ოფისში, ამერიკის სატრანსპორტო დეპარტამენტში და სხვა ორგანიზაციებში.



როგორც ვთქვით, აბუსალათინი, როგორც დეკორატიული მცენარე, ფართოდაა გავრცელებული საქართველოს პარკებში, სკვერებსა და, განსაკუთრებით, სასაფლაოებზე. სოფლებსა და ცალკეულ რეგიონებში, რკინიგზის



მცენარე აბუსალათინი, ყვავილები, ზეთი და თესლები.

მიმდებარე ტერიტორიებზე აღინიშნა ცხოველთა დაცემა, რაც დღემდე აუხსნელი რჩება. ცნობილია, რომ ცხოველები პარკოსან მცენარეებს გაერიდებიან ტოქსიკური ლექტინების შემცველობის გამო, მაგრამ, არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ცხოველებმა აბუსალათინი გამოიყენეს საკვებად, რაც მათი სიკვდილის მიზეზიც გახდა. ძალზე სახიფათოა ისიც, რომ აბუსალათინის ლამაზი თესლისაგან ბავშვები ხშირად ამზადებენ მძივებს, იკეთებენ კისერზე, რამაც შესაძლებელია, კანის ძლიერი დაზიანება და ზოგჯერ სიკვდილიც კი გამოიწვიოს.

აბუსალათინის (Ricinus communis), ქვესახეობის სხვადასხვა ფორმა აფრიკის ტროპიკებშია გავრცელებული. ფოთლები გამოირჩევა რადიკალურად გამჭოლი მწვანე ან რუხი წითელი შეფერილობით. ყვავილები მწვანე, ვარდისფერი ან წითელია, რის გამოც იგი საკმაოდ მიმზიდველია.

აბუსალათინი გამოირჩევა პროდუქტიულობით. მისი ლამაზი ფოთლები ხშირად იზიდავს ბავშვებს და საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს. სამწუხაროდ, რიცინით მოწამვლის ხშირი შემთხვევა სწორედ ბავშვებში დადასტურდა. რიცინით მოწამვლის ხარისხი და სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით მოხვდება ის ორგანიზმში. მაგალითად, ინჰალაციის გზით მოწამვლის პირველი ნიშნები შეინიშნება **8** სთ-ის, ხოლო ინიექციის პირობებში – **6** სთ-ის შემდეგ.

ინჰალაციით მოწამვლისას აღინიშნება ტკივილები მუცლის არეში, დიარეა, წყლის დაკარგვა და ხშირად სისხლდენა, კანის გალურჯება, წნევის დაცემა, გულისრევა, ღვიძლის, თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციონირების შეწყვეტა, რაც საბოლოოდ ადამიანის სიკვდილით მთავრდება. ზრდასრული ადამიანისთვის რიცინის სასიკვდილო დოზა 1 მგ-ს არ აღემატება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვები მკაცრად უნდა მოვარიდოთ ამ მცენარეს,ვინაიდან ფოთლისა და თესლის ღეჭვის ან გადაყლაპვის შემთხვევაში ეს შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს.

აღსანიშნავია, რომ უცხოეთში აკრძალულია საკარმიდამო ბაღებსა და დასასვენებელ პარკებში მცენარე აბუსალათინის კულტივირება, უკიდურეს შემთხვევაში, მცენარეს არ უნდა მიეცეს ყვავილობისა და ნაყოფის მომწიფების საშუალება.

ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმში რიცინის შეჭრა ხდება უჯრედების ზედაპირთან დაკავშირების შემდეგ. ამ გზით ერთეულ უჯრედთან შეიძლება დაკავშირდეს რიცინის რამდენიმე ათეული მოლეკულა, უჯრედების გასანადგურებლად კი ერთი მოლეკულაც საკმარისია.

სამკურნალო ანტიდოტისა თუ სათანადო ვაქცინის არარსებობის გამო მოწამვლის შემდეგ ადამიანის გადარჩენის შანსი ძალზე მცირეა. დადგენილია, რომ ერთ ჰექტარ ფართობზე მოსახლეობის **50%**-ით გასანადგურებლად ან შრომის უნარის დაქვეითების მიზნით საკმარისია **3** მკგ აეროზოლი, ინიექციით ან საკვებსა თუ წყალში რიცინის დამატებით შესაძლებელია ადამიანების ინდივიდუალური ან მასობრივი განადგურება.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენთვის უცნობია საქართველოში აბუსალათინის გავრცელების ტერიტორიები და სიხშირე, თუმცა იგი შემჩნეულია თბილისის მთელ რიგ რეგიონებში, ვერის სასაფლაოზე, გორში, კახეთში და დასავლეთ საქართველოს სოფლების ეზოებში. ეს მცენარე, ცხადია, საკმაოდ კარგადაა ადაპტირებული საქართველოს კლიმატურ პირობებთან, ამიტომ საჭიროა აღმოჩენისთანავე მისი ამოძირკვა და სრული განადგურება, რადგან ზედაპირული მოცელილი მცენარე აბუსალათინი გამრავლების უნარს ინარჩუნებს.

**ნუგზარ ალექსიძე,**
**პროფესორი**

---

# „საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება და მაღაზიების დახურვა“...

## რა შეზღუდვებს განიხილავს მთავრობა

**საქართველოში კორონავირუსის შემთხვევები ანტირეკორდულად იზრდება. პანდემიის გამო, ქვეყანაში „კომენდანტის საათი“ ხელახლა ამოქმედდა. 9 ნოემბრიდან ყველა დიდ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, ზუგდიდი, ფოთი) ღამის 22:00 საათიდან დილის 05:00 საათამდე გადაადგილება იზღუდება. მისი დარღვევის შემთხვევაში პირი 2 000 ლარით დაჯარიმდება. ასევე დროებით ჩერდება სააღმზრდელო პროცესი კერძო და საჯარო ბაგა-ბაღებში.**

შეზღუდვების ჩამონათვალი ამით არ სრულდება. გათვალისწინებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრთა რაოდენობის შემცირება. მეტიც, საკოორდინაციო საბჭო დამატებით კიდევ განიხილავს წერტილოვანი შეზღუდვების დაწესებას. შესაბამისად, აკრძალვების სია აუცილებლად გაფართოვდება.

თუმცა, შეზღუდვების ამოქმედება ხდება ოპოზიციის მასშტაბური საპროტესტო აქციის მეორე დღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კორონავირუსის შემთხვევების ზრდა მოსალოდნელია სწორედ ამ აქციების შედეგად. სპეციალისტების ნაწილი თვლის, რომ ახალი წყარო, შესაძლოა, ხალხმრავალი ადგილები, კერძოდ კი საპროტესტო აქციები და მიტინგები გახდეს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემ** აღნიშნა, რომ დროსთან ერთად, შესაძლოა, შეზღუდვები კიდევ გაფართოვდეს. მან მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ნებისმიერი სახის დიდი შეკრება ინფექციის გავრცელების წყაროა.

აქვე შეგახსენებთ, რომ 4 ნოემბრიდან სამედიცინო პირბადის ტარება სავალდებულო გახდა, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეშიც. როგორც პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამაც** დაადასტურა, მთავრობა განიხლავს დამატებით უფრო მკაცრ წერტილოვან შეზღუდვებს. მისივე თქმით, ერთგვარი პიკის გადავლის მთავარ ინსტრუმენტს პირბადე, თვითიზოლაცია და ანტიგენის სწრაფი ტესტი წარმოადგენს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოსალოდენელია აბსოლუტურად ყველა მაღაზიის დახურვა, გარდა სასურსათო მაღაზიებისა. ინფექციონისტების ნაწილი ფიქრობს, რომ ადრე თუ გვიან, საჭირო გახდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, რადგან ინფიცირების ერთ-ერთ მთავარ წყაროს სწორედ ხალხმრავალი ადგილები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი წარმოადგენს.



კონკრეტულად, კიდევ რა წერტილოვან შეზღუდვებს უნდა ველოდოთ და მოსალოდნელია თუ არა, თუნდაც, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, ამის შესახებ For.ge „ქართული ოცნების“ წევრს და ექიმს **ლადო კახაძეს** ესაუბრა, რომელმაც გვითხრა, რომ დამატებით მთავრობა სხვა შეზღუდვას არ დააწესებს და არც ე.წ. ლოკდაუნი გამოცხადდება.

**„მსოფლიო ვერ შეთანხმდა, ყველამ თავისი გზა აირჩია. ჩემი აზრით, ასეთ დროს მნიშვნელოვანია მზაობაა, რომ რეკომენდაციები იქნას შესრულებული. ყველა სახელმწიფო ვიმყოფებით ერთ გემზე, რომელიც არის დიდი გამოწვევის წინაშე. დამატებით სახელმწიფო რაიმე კონკრეტულ შეზღუდვას არ აწესებს და არც „ლოკდაუნია“ მოსალოდნელი“** – განაცხადა ლადო კახაძემ.

იმუნოლოგი **ბიძინა კულუმბეგოვი** ფიქრობს, რომ შესაძლოა, დიდი მაღაზიები 2-3 კვირით დაიხუროს, რაც კოვიდ-19-ის შემთხვევათა შემცირებას გამოიწვევს, თუმცა, მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება სწორი გადაწყვეტილება არ იქნებოდა.

ინფექციონისტი **ირაკლი ხმალაძე** მიიჩნევს, რომ მთავრობამ დამატებით, შესაძლოა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების გადაწყვეტილება მიიღოს, რაც ინფიცირების შემთხვევათა მატებას შეამცირებს და ხელს შეუწყობს ეპიდვითარების გაუმჯობესებას.

**„თავიდან შეზღუდვები, ალბათ, ისევ თავშეყრის ადგილებს შეეხება, რომელიც არ გამოიწვევს დიდ დარტყმას საქართველოს ეკონომიკაზე. შემდეგ, როგორც ქალაქში, სოფელშიც გამკაცრდება შესვლა-გამოსვლის წესები. ისევ და ისევ ტრასაზე განლაგდებიან (განთავსდება ბლოკპოსტები). რაც მანამდე იყო, ალბათ, ისევ ის იქნება.**

**ერთადერთი, რაც ჩვენ გვიცავს, ეს არის დისტანცირება, ხელების ბანვა და სამედიცინო ნიღბის ტარება. რა ფორმა მიეცემა ამას და რა სახე ექნება, ძნელი სათქმელია.**

**აქციები, ბუნებრივია, გამოიწვევს ინფიცირების მატებას, თუ აქციაზე ასეთი ადამიანი, ერთი მაინც, გაერევა, სრულიად საკმარისი იქნება, რომ მან გამოიწვიოს რაოდენობის გაზრდა. ამიტომ ვარ წინააღმდეგი ასეთი შეკრებების, სადაც მძვინვარებს ინფექცია“,** – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ For.ge-სთან.

**ნიკო ჩოხელი**

ძიუდო

## თაობის სახელით

**„ოქროც", „ვერცხლიც", „ბრინჯაოც" — ასეთი მონაგრით დაასრულეს ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტებმა 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ხორვატეთის საკურორტო ქალაქ პორეჩში გაიმართა. გუნდურში „ჯვაროსნები" მეოთხენი იყვნენ.**



საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ: საბა სულამანიძე (ზედიზედ მეორედ, 100 კგ, „ოქრო"), ლუკა კაპანაძე (66 კგ, „ვერცხლი") და საბა ინანეიშვილი (მძიმე წონა, „ბრინჯაო").

**კობა კობახიძე**

საზოტაჟი?

## სტადიონსაც იყენებენ

**ჩვენ უკვე ვწერდით ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტლის მე-16 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტადიონის საკადასტრო საზღვარზე 12-სართულიანი კორპუსის წამოჭიმვის საფრთხის თაობაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.14.04.013.059., საცხოვრებელი ფართის მოცულობა 3200 კვ.მ.).**

დაგვეთანხმებით, მართლაც აღმაშფოთებელია, რომ ეს ხდება ურბანულად მჭიდროდ დასახლებული იმ უბნის ცენტრში, სადაც 4 და 5-სართულიანი კორპუსებიდან თითოეულის საცხოვრებელი ფართი მხოლოდ 1500 კვ.მ-ია, თანაც მაშინ, როცა კორონავირუსის პანდემიის გამო მეტი სივრცეების ერთმანეთისგან დაშორებას უნდა ვცდილობდეთ.

გასათვალისწინებელია პროექტში არსებული უამრავი დარღვევა და შეცდომაც. მაგალითად, კანონით განსაზღვრულია, რომ მშენებლობა სტადიონიდან მინიმუმ 20-მეტრიანი დაშორებით უნდა წარმოებდეს.



იგნორირებულია აგრეთვე ისეთი საკვანძო ფაქტორი, როგორიცაა ხსენებულ ტერიტორიაზე მიწისქვეშ გამავალი გაზის მაგისტრალური მილის დაბალი წნევა — D -125 მმ, რაც დამატებითი პრობლემებით ემუქრება მოსახლეობას.

ყოველივეს მიუხედავად, 16 ოქტომბრის ნაცვლად, მოსამართლე ლეილა გოგიშვილმა განაჩენი არჩევნებამდე 3(!) დღით ადრე, 28 ოქტომბერს გამოიტანა და მოსახლეობა გაამტყუნა, ანუ არ გააუქმა სამშენებლო ნებართვა და იგი სწორად მიიჩნია, ამან კი მერყევთა და „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა გალიზიანება და უკმაყოფილება გამოიწვია.

გეკითხებით: არის თუ არა ეს საბოტაჟი და ქოცნებისგან დამოუკიდებელი თუ ნაცებზე დამოკიდებული სასამართლოს მიერ ხალხში საპროტესტო მუხტის გაღვივების მცდელობა?

აღარაფერს ვამბობთ ისეთ „წვრილმანებზე", როგორიცაა საცხოვრებელი არეალის სიმჭიდროვის მკვეთრი ზრდა, საცხოვრებელი პირობების გაუარესება, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არასათანადო ფუნქციონირება, უძრავი ქონების ფასის კლება, ინსოლაციის (სინათლე) და აერაციის (ჰაერი) შეზღუდვა...

სათქმელი, იცოცხლეთ, კიდევ ბევრია, მაგრამ ამჯერად წერტილს შემდეგი წინადადებით დავსვამთ: ბიძინა ივანიშვილმა დედაქალაქს იპოდრომი აჩუქა, ესენი კი შუა კვარტალში სტადიონის ნაცვლად მრავალსართულიან კორპუსს გვიშენებენ!

**ზურაბ ღლონტი**

ჩოგბურთი

## აუხდენელი ოცნება

**უკვე გაუწყეთ, რომ კორონავირუსის პანდემიით საკმაოდ სეკვესტრირებული საჩოგბურთო სეზონი 34 წლის რაფაელ ნადალის შთამბეჭდავი წარმატებებით აღინიშნა.**



მართლაც, კარიერაში მე-1000(!) შეხვედრის მოგება, რაც ჯიმი კონორსის, როჯერ ფედერერისა და ივან ლენდლის შემდეგ მეოთხე შემთხვევაა, დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ფაქტია.

თუ ამას 20 გრანდ სლემის მოპოვებას დავუმატებთ, რაც ფედერერის მიღწევის გამეორებაა, კორტის ესპანელ ჯადოქარს სასაყვედურო, თითქოს, არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ არის ტურნირი, რომელიც გრუნტის მეფეს თავის ტკივილად ექცა.

საუბარია პარიზის მასტერსზე, რომელიც ერთადერთია სათიხნარო კალენდარში, მალიორკელს ჯერაც რომ არ მოუგია.

ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ნავსი წლეულს მაინც გატყდებოდა, მაგრამ ხომ გსმენიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ასე დაემართა ზუსტად მარადიულ ფავორიტს, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ ნახევარფინალში მსოფლიოს მე-5 ჩოგან ალექსანდრ ზვერევთან ორ პარტიაში დამარცხდა — 4:6, 5:7.

ფინალი: დანიილ მედვედევი (რუსეთი) — ალექსანდრ ზვერევი (გერმანია) 2:1 (5:7, 6:4, 6:1).

**კობა კობახიძე**

ორი დღეც და...

## ღირსების მატჩის წინ

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა ნოემბრის სამი მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. სლოვაკმა სპეციალისტმა გუნდში 29 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთა შორის ერთი დებიუტანტია — ვოლგოგრადის „როტორის" შემტევ ბექა მიქელთაძეს ნაკრებში პირველად უხმეს.**

ეროვნულ გუნდს ჩრდილოეთ მაკედონიასთან ისტორიულ დაპირისპირებაში და შემდეგ უკვე ერთა ლიგაზე, სომხეთთან და ესტონეთთან შეხვედრებში, სერიოზული დანაკლისიც აქვს — ტრავმების გამო გიორგი ჩაკვეტაძე და ოთარ კიტეიშვილი ვერ ითამაშებენ.

**საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა ნოემბრის მატჩებში:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (ალმერია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

**მცველები:** გურამ კაშია (სან ხოსე ერთკვეიკსი, აშშ), ოთარ კაკაბაძე (ტენერიფე, ესპანეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), სოლომონ კვირკველია (როტორი, რუსეთი), მამუკა კობახიძე (დინამო, ბათუმი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბათუმი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი), ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (ოვიედო, ესპანეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასფორი, თურქეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯუ, თურქეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო, ბათუმი), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი);

**თავდამსხმელები:** გიორგი ქვილითაია (ანორთოსისი, კვიპროსი), თორნიკე ოქრიაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე ერთკვეიკსი, აშშ), ელგუჯა ლობჯანიძე (კაისარი, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (ლეხი, პოლონეთი), ბექა მიქელთაძე (როტორი, რუსეთი).

გარდა ამისა, ვაისმა გაფართოებულ შემადგენლობაში კიდევ ხუთი ფეხბურთელი გამოიძახა, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ნაკრებში უხმობს:

**გიორგი მამარდაშვილი (ლოკომოტივი, თბილისი), ნიკა მალი (საბურთალო), გიორგი ხარაიშვილი (გიოტებორგი, შვედეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი).**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ისტორიაში მთავარ შეხვედრას 12 ნოემბერს ჩრდილოეთ მაკედონიელებთან უმაყურებლოდ გამართავს და გამარჯვების შემთხვევაში ევრო 2020-ის ფინალურ ეტაპზე გავა. გარდა ამისა, 15 და 18 ნოემბერს ვლადიმირ ვაისის გუნდს ასევე მნიშვნელოვანი მატჩები აქვს გასამართავი უეფას ერთა ლიგის C დივიზიონში, სადაც დასკვნით ორ ტურში, შესაბამისად, სომხეთისა და ესტონეთის ნაკრებებს უმასპინძლებს. ეს თამაშებიც მნიშვნელოვანია, რადგან 4 ტურის შემდეგ საქართველო 6 ქულით ჩრდილოეთ მაკედონიასთან ერთად ლიდერობას იყოფს და პირველ ადგილზე გასული გუნდი მომდევნო ერთა ლიგაზე B დივიზიონში ითამაშებს.

- **მატჩების განრიგი**
- **12 ნოემბერი, 21:00 საათი: თბილისი, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა. საქართველო — ჩრდილოეთ მაკედონია;**
- **15 ნოემბერი, 21:00 საათი: თბილისი, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა. საქართველო — სომხეთი;**

**18 ნოემბერი, 21:00 საათი: თბილისი, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა. საქართველო — ესტონეთი.**

* * *

რაც შეეხება სტუმრებს, მაკედონიელთა მთავარმა მწვრთნელმა იგორ ანგელოვსკიმ არჩევანი 23 ფეხბურთელზე შეაჩერა.

მათ შორისა არიან გორან პანდევი, ეზგიან ალიოსკი, ენის ბარდი, ელიფ ელმასი, შტეფან რისტოვსკი და ილია ნესტოროვსკი. ასე რომ, მეტოქე უძლიერესი შემადგენლობით გვეწვევა:

**მეკარეები:** სტოლე დიმიტრიევსკი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), მარტინ ბოგატინოვი (ეთნიკოსი, კვიპროსი), დამიან შიშკოვსკი (დოქსა, კვიპროსი), დანიელ ბოჟინოვსკი (სილეკსი);

**მცველები:** ვისარ მუსლიუ (ფეჰერვარი, უნგრეთი), ეგზონ ბეიტალუაი (შკენდია), კირე რისტევსკი (უიპეშტი, უნგრეთი), შტეფან რისტოვსკი (სპორტინგი, პორტუგალია), დარკო ველკოვსკი (რიეკა, ხორვატეთი), გოკო ზაიკოვი (შარლერუა, ბელგია), ეზგიან ალიოსკი (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი);

**ნახევარმცველები:** ენის ბარდი (ლევანტე, ესპანეთი), არიიან ადემა (დინამო, ხორვატეთი), ბობან ნიკოლოვი (ფეჰერვარი, უნგრეთი), შტეფან სპიროვსკი (აეკ, კვიპროსი), ელიფ ელმასი (ნაპოლი, იტალია), ტიხომირ კოსტადინოვი (რუჟემბეროკი, სლოვაკეთი); უკანასკნელ მომენტში ტრავმა მიიღო არიიან ადემამ და მისი თბილისში თამაში საეჭვოა.

**თავდამსხმელები:** გორან პანდევი (ჯენოა, იტალია), ივან ტრიჩკოვსკი (აეკ, კვიპროსი), ილია ნესტოროვსკი (უდინეზე, იტალია), ალექსანდარ ტრაიკოვსკი (მალიორკა, ესპანეთი), კრსტე ველკოვსკი (სარაევო, ბოსნია), ვლატკო სტოიანოვსკი (შამბლი, საფრანგეთი).

**თითქოს აქ უნდა დაგვესვა წერტილი, მაგრამ ამ დღეებში დედაქალაქსა და რეგიონებში განვითარებული მოვლენები სათუოს ხდის უმნიშვნელოვანესი მატჩის გამართვას. მართლაც, მაშინ, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს პირველად მიეცა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში თამაშის შანსი, ფსევდომედასავლეთელთა პარპაშის პირობებში ვინ მისცემს სტუმარ-მასპინძელს უსაფრთხოების გარანტიებს?**

**სამწუხაროა, იმის ნაცვლად, უეფას რეკომენდაციების გათვალისწინებით, საკოორდინაციო საბჭოსგან ტრიბუნებზე გულშემატკივართა მინიმალური რაოდენობის დაშვებაზე გვიწევდეს ფიქრი, თვით შეხვედრის ჩატარებას რომ შეექმნა საფრთხე.**

**გია პლატონიშვილი**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი მაქაცარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი მაქაცარია (პ/ნ 42001015185), ქ. ფოთი, მამუკა კაცაძის ქ. №6, ბინა 14

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ფოთი, მამუკა კაცაძის ქ. №6, ბინა 14 (საკადასტრო კოდი: 04.01.08.006.01.014https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 55388.82 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 10 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 25 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68460520;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 684605

6. **მოვალე:** ირაკლი მაქაცარია (პ/ნ 42001015185), ქ. ფოთი, მამუკა კაცაძის ქ. №6, ბინა 14.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68460520; ლოტის ნომერი: 684605).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 25 ნოემბრის 10:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს “ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს “ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუკრი დუმბაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუკრი დუმბაძე (პ/ნ 61006012532), ხელვაჩაური, ს. თხილნარი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. თბილისი, სანდრო მირიანაშვილის ქ. №95, ბლოკი №31, სართ. 1, ბინა №11 (საკადასტრო კოდი: 01.10.07.009.001.03.011https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10926.11 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 10 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 25 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68461320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 684613

6. **მოვალე:** ნუკრი დუმბაძე (პ/ნ 61006012532), ხელვაჩაური, ს. თხილნარი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს “ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს “ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს “თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68461320; ლოტის ნომერი: 684613).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 25 ნოემბრის 10:00 საათამდე.

**ხსოვნა**

# თემურ გაბიძაშვილი



**ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა, გარდაიცვალა პურპროდუქტების ღვაწლმოსილი ინჟინერ-ტექნოლოგი თემურ გაბიძაშვილი.**

**იგი დაიბადა 1929 წელს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ცნობილმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა რაჟდენ გამსახურდიამ, ახალგაზრდა ტექნოლოგებთან ერთად მიიწვია დარგის ასაღორძინებლად. იმ დღიდან ბატონი თემური გახლდათ ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დიდი პასუხისმგებლობით მიიღო გამოწვევა, გახდა დამსახურებული ინჟინერი, თბილისის №1 პურის ქარხნის დირექტორი, თბილისის №6 პურის ქარხნის წარმოების ხელმძღვანელი, სადაც მრავალი საინჟინრო და ტექნოლოგიური სიახლე განახორციელა. თემურ გაბიძაშვილი გახლდათ რაჟდენ გამსახურდიას სახელობის პირველი მედლის მფლობელი.**

**იყო შესანიშნავი მეოჯახე, არაჩვეულებრივი მამა და ბაბუა, სამეგობროს იმედი, კოლეგებისთვის გვერდში მდგომი, პრინციპული და პირდაპირი.**

**მისი სურვილი იყო, გარდაცვალების შემდეგ მოკრძალებით ემცნოთ სამეგობროსთვის მისი ამქვეყნიდან გაცლა და ვრცელი ნეკროლოგი არ დაეწერათ, მაგრამ ვერ ვასრულებ ჩემი უფროსი მეგობრის თხოვნას – საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა პიროვნება, პროფესიონალი და ღირსეული ადამიანი დააკლდა საქართველოს. ღმერთმა აცხონოს მისი სული.**

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე
**მალხაზ დოლიძე**

**სანთელი**



# თამაზ გოგლიძე

**კიდევ ერთი ღირსეული თბილისელი გადავიდა ზეციურ საქართველოში – 76 წლისა გარდაიცვალა თამაზ გოგლიძე.**

**ძნელია, თანაკლასელის სახელი წარსულ დროში გაიხსენო, როდესაც მასთან ერთად მთელი შეგნებული ცხოვრება გაქვს გატარებული. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, კაცთმოყვარე, სამეგობროში რჩეული ადამიანი დავკარგეთ. მით უფრო სამწუხაროა მისი ამქვეყნიდან წასვლა, რომ მისნაირი პატრიოტი, ერთგული და პრინციპული ადამიანები სჭირდება დღევანდელ საქართველოს.**

**ნათელში იყავი, ჩვენო ერთგულო მეგობარო!**

**თბილისის 39-ე საშუალო სკოლის
1961 წლის კურსდამთავრებულები**

# ლენტეხი-ბავარის გზის რეაბილიტაცია იწყება

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ლენტეხი-ბავარის საავტომობილო გზის 7 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება.**

ლენტეხი-ბავარის გზა, ამ ორი დასახლებული პუნქტის დამაკავშირებელ ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს, შესაბამისად, მის გამართულად ფუნქციონირებას დიდი მნიშვნელობა აქვს.




საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, ამ დროისთვის, სარეაბილიტაციო მონაკვეთი ძლიერ დაზიანებულია და მთლიანად მწყობრიდან არის გამოსული, რის გამოც სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება გართულებულია.

პროექტი, სახელწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

# ინფიცირების შემთხვევებმა 50 მილიონს გადააჭარბა



**ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა საერთო ჯამში 50 052 204-ს შეადგენს, გამოჯანმრთელდა თითქმის 33 მილიონი ადამიანი, გარდაიცვალა 1 253 110 პაციენტი.**

კორონავირუსული შემთხვევების რაოდენობის მიხედვით განსაკუთრებულად რთული ვითარებაა შეერთებულ შტატებში, ინდოეთში, ბრაზილიაში, საფრანგეთში, რუსეთში, ესპანეთში, არგენტინასა და დიდი ბრიტანეთში.

# აზერბაიჯანის არმია წინ მიიწევს



**აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აცხადებს, რომ აზერბაიჯანის არმიამ კონფლიქტის ზონაში კიდევ 23 სოფელი გაათავისუფლა. ამის შესახებ აზერბაიჯანის ლიდერი სოციალურ ქსელ „ტვიტერში" წერს.**

ალიევის მტკიცებით, დაკავებულია ფიზულის, ხოჯალის, ხოჯავენდის, გუბადლის, ჯებრაილისა და ზანგილანის რაიონების სოფლები.

ილჰამ ალიევის ბოლო განცხადებასთან დაკავშირებით სომხეთის ხელისუფლებას კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. მანამდე არაღიარებული მთიანი ყარაბაღის თავდაცვის ძალებში განაცხადეს, რომ საომარი მოქმედებების დროს მათი მხრიდან კიდევ 44 ჯარისკაცი დაიღუპა და საერთო რაოდენობამ 1 221 შეადგინა.

# ფაშინიანთან მოლაპარაკება აზრი არა აქვს

**მთიანი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით კომპრომისისთვის სულ უფრო მცირე შანსი რჩება, რადგანაც დაკარგულ ტერიტორიებს აზერბაიჯანი ძალისმიერი გზით იბრუნებს,** — ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა BBC-ის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, ნიკოლ ფაშინიანის პრემიერობის პირობებში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შანსი პრაქტიკულად არ არსებობს. მანამდე ალიევმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ არაღიარებული მთიანი ყარაბაღის სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქ შუშაზე კონტროლი აზერბაიჯანის არმიამ უკვე დაამყარა, რასაც თავის მხრივ, სომხური მხარე არ ადასტურებს.

# ტერაქტი ერაყში

**ერაყში სადამკვირვებლო პუნქტზე თავდასხმას მსხვერპლი მოჰყვა — დაღუპულია 11-მდე ადამიანი. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახელმწიფომ.**




ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა ერაყის დედაქალაქის სამხრეთ გარეუბანში, ბაღდადის აეროპორტთან მომხდარი თავდასხმის დროს გამოიყენეს ყუმბარები, რომელთა აფეთქებას ადამიანთა სიცოცხლე შეეწირა.

# ჯარისკაცმა სამი ადამიანი მოკლა

**რუსეთის ქალაქ ვორონეჟში მდებარე სამხედრო აეროდრომზე სროლის ხმა ისმოდა...**



გავრცელებული ინფორმაციით, ნაჯახით შეიარაღებულმა ერთ-ერთმა სამხედრო მოსამსახურემ ოფიცერი განაიარაღა და აეროდრომის ტერიტორიაზე ცეცხლი გახსნა, რასაც, სულ მცირე, სამი ადამიანი ემსხვერპლა.

თავდამსხმელმა თავი ერთ-ერთ შენობას შეაფარა და დანებებას არ აპირებდა. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

# მელანია და ტრამპი ერთმანეთს გასცილდებიან

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ აშშ-ის პირველმა ლედიმ პრეზიდენტთან განქორწინება გადაწყვიტა. ამის შესახებ გამოცემა Daily Mail თეთრი სახლის ლიდერის ყოფილი თანაშემწის, ომაროსა მანიგოლტ-ნიუმანის ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს.



**„მელანია დიდი ხანი ფიქრობდა განქორწინებაზე და ელოდა, სანამ მისი მეუღლე პოსტს დატოვებდა. იმ შემთხვევაში, თუ ის ქმრის მხრიდან დამცირებას ველარ გაუძლებდა და განქორწინებას ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში მოითხოვდა, პრეზიდენტი მის დასასჯელ გზას იპოვიდა",** — აცხადებს მანიგოლტ-ნიუმანი.

ტრამპის ოჯახთან დაახლოებული კიდევ ერთი პირი, სტეფანი ვოლკოფი კი ირწმუნება, რომ დონალდისა და მელანიას 15-წლიანი ქორწინება, ფაქტობრივად, გარიგება იყო და ცოლ-ქმარს თეთრ სახლში ერთ ოთახშიც კი არ ეძინათ.

# ბაიდენი თეთრ სახლში ძაღლის მიყვანას აპირებს

**ბაიდენის ძაღლი მეიჯორი პირველი ცხოველი იქნება, რომელიც თავშესაფრიდან არის აყვანილი.**



ჯო და ჯილ ბაიდენებს ორი გერმანული ნაგაზი ჰყავთ. ერთ-ერთი მათგანი, სახელად მეიჯორი, მათ დელავერის ცხოველთა თავშესაფრიდან 2018 წელს აიყვანეს. მეორე ნაგაზი, ჩემპი კი ჯოს და ჯილს უკვე 12 წელია, ჰყავთ.

BuzzFeed-ი აზუსტებს, რომ თეთრი სახლის ისტორიაში მეიჯორი თავშესაფრიდან აყვანილი პირველი ცხოველი იქნება. მანამდე მიუსაფარი ძაღლი თეთრ სახლში ყოფილ პრეზიდენტს ლინდონ ჯონსონს ჰყავდა. ძაღლი, სახელად „იუკი" მისმა ქალიშვილმა მადლიერების დღეს ტეხასის ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე იპოვა.

# იაპონიის პრინცი ტახტის პირველ მემკვიდრედ ოფიციალურად შერაცხეს

**იაპონიის პრინცი, აკიშინო იმპერატორის ტახტის პირველ მემკვიდრედ ოფიციალურად შერაცხეს. ერთდღიანი ცერემონია აპრილში იყო დაგეგმილი, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო გადაიდო. ტახტის მემკვიდრედ შერაცხვის ცერემონიაზე სტუმრების უმრავლესობას პირბადე ეკეთა.**



პრინცი აკიშინო 54 წლისაა, ის ტახტის პირველი მემკვიდრე მას შემდეგ გახდა, რაც მამის ტახტიდან გადადგომის შემდეგ, იმპერატორის ტიტული მის ძმას, ნარუ-ჰიტოს ერგო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 12 ნოემბერს**

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!
განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3613; ევრო - 3.9892;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4181;
100 რუბლი - 4.3379; თურქული ლირა - 0.3942;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9772;
1000 სომხური დრამი - 6.8210.

**ამინდი 10 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +17 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე | +16 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე | +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge